ს ა რ ბ ი ე ლ ი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 14 აპრილი 1995 № 17 (155) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაპუსტინი საქართველოს ნაკრებში?

გუშინ ორი სხვადასხვა, სანდო, მაგრამ არაოფიციალური წყაროდან შევიტყვეთ, თითქოს საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა გუნდში 36 წლის გენადი კაპუსტინის მოწვევას აპირებს. ამბობენ, კაპუსტინს თბილისში ბინა აქვს და ჩაწერილიც აქვეა, ამდენად, საქართველოს ნაკრებში მისი თამაში იურიდიულად დასაშვებიაო.



გენადი კაპუსტინი დაიბადა 1958 წლის 22 ნოემბერს პენზის ოლქის ქალაქ კუზნეცკში. 186-სანტიმეტრიანი გეშა 1976 წლიდან გამოდიოდა ლენინგრადის „სპარტაკში". მის შემადგენლობაში ორჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1976, 1978), ერთხელ მესამე იყო (1981). 1978 წელს საკავშირო თასსაც ფლობდა. არის ევროპის ორგზის ჩემპიონი: 1975 წელს ახალგაზრდებში, 1981 წელს — კაცებში. 1983 წელს კაპუსტინი თბილისის „დინამოში" გადმოვიდა და საკავშირო ჩემპიონატებში სამჯერ მეოთხე ადგილზე გავიდა. ამჟამად საზღვარგარეთ თამაშობს.

ამ ნომრისთვის ინფორმაციის შემოწმება ველარ მოვასწარით. სამაგიეროდ, კაპუსტინზე ახალი ჭორი შევიტყვეთ: საქართველოს ჩემპიონატის ფლეი-ოფისთვის მის ჩამოყვანას, თურმე, თბილისის „დინამოც" აპირებს.



# შოთა-ორჰან შოუ

## ...მე-16 წუთზე შოთამ ბურთი აართვა სტუმართა მცველებს და ორ კაცთან კიდილში ორჰანს დაუგორა. ამანაც შეუჩერებლივ დაარტყა და ბურთი ცხრიანში გაახვია.

ოთხშაბათს ტრაპიზონში გამართული თურქეთის თასის ფინალის საპასუხო შეხვედრაში ამ ერთადერთმა გოლმა გამარჯვება „ტრაბზონსფორს" მოუტანა. ქვეყნის თასის 1995 წლის მფლობელის ტიტული, სხვებთან ერთად, შოთა და არჩილ არველაძეებსაც ერგოთ.

აჩის, ისევე როგორც პირველ მატჩში, არც ახლა უთამაშია, შოთა კი კვლავ ბრწყინავდა. ამ ფინალების შემხედვარეს თავში ერთმა აზრმა გამიელვა — იქნებ სჯობდეს, 26 აპრილს საქართველოს ნაკრების მაისურის ქვეშ შოთამ „ტრაბზონის" მაისურიც ჩაიცვას, ეგებ, აქაც ჩინებულად ითამაშოს. ხუმრობა იქით იყოს და გუშინწინ შოთამ თანაგუნდელებს პასები ხომ ჩამოურიგა, ჯამბაზობის მოყვარული თურქი გულშემატკივრებიც არაერთხელ გადარია (განსაკუთრებით მაშინ, როცა „გალათასარაის" ზანგ მცველ მაპეზას მესხისეული ფინტი გაუკეთა და დაბნეულს გაფრთხილება „აჰკიდა"), ორჯერ კარში ეგზოტიკურად დაარტყა, ორჯერაც მისი დარტყმა „გალას" მეკარემ მოიგერია და, როგორც ზემოთ ვთქვით, საგოლე პასიც სწორედ მისი იყო. საქმე მოთავებულად რომ ჩათვალა, „ტრაბზონის" მწვრთნელმა შენოლ გიუნეშმა შოთა გამოცვალა და სტადიონმაც მქუხარე ტაში გააყოლა გურჯ ლეგიონერს.

თურქეთის დარად, შუა კვირა სხვა ქვეყნებმაც სათასო მატჩებს დაუთმეს. ინგლისის ამბებს მეოთხე გვერდზე იხილავთ, აქ კი კონტინენტის ქვეყნებს მვხედოთ.

იტალიაში ნახევარფინალების საპასუხო მატჩები გაიმართა. სამშაბათს ჩემპიონატის ლიდერი „იუვენტუსი" სტუმრად 1:0 მოგების შემდეგ შინ უკვე მე-15 წუთისთვის ამავე ანგარიშით აგებდა: „ლაციოს" კაპიტნის სინიორის საჯარიმოდან დარტყმული ბურთი კედელში მდგომ პაოლო სოუზას მოხვდა და პერუცი ველარც გაინძრა. პირველი ტაიმის ბოლომდე სტუმრებს ორიოდ ნაღდი საგოლე მომენტი კიდევ ჰქონდათ, მაგრამ ტაიმის ბოლო წუთზე ბაჯოს წაქცევისთვის მსაჯმა რომაელი ბონომი გააძევა და „ლაციომაც" შეტევას უკლო. 50-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებული ბურთი დელ პიერომ თავით დაუგდო მაროკის და ამანაც ანგარიში გაქვითა. ასეთი ანგარიში უკვე მასპინძლებს აძლევდა ხელს. მათაც მშვიდად მოინდომეს საქმის ბოლომდე მიყვანა და კინაღამ დაისაჯნენ კიდეც — ბოლო წუთზე ბურთი „იუვენტუსის" კარის ძელს მოხვდა. მერე დაშავებული პერუცის ნაცვლად გამოსულმა რამპულამაც ივაჟკაცა და „ლაციომ" ხელი ჩაიქნია. მსაჯის მიერ დამატებულ მეშვიდე წუთზე რობერტო ბაჯომ პენალტი შეაგდო — 2:1. „იუვეს" მეტოქე ფინალში, ორი მატჩისგან რომ შედგება და 4 და 11 ივნისს გაიმართება, გუშინწინ გამოვლინდა. „პარმას" ფოჯაში ფრედ ჰქონდა ნათამაშები, მაგრამ ამანაც, ტურინელთა მსგავსად, პირველმა გაუშვა გოლი — 42-ე წუთზე მანდელიმ იყოჩაღა, თუმცა სამ წუთში მინოტიმ სტატუს-ქვო აღადგინა, მეორე ტაიმში კი ბრანკამ (65) და ძოლამ (82) „პარმა" ფინალში გაიყვანეს.

სამშაბათს გერმანიაში უდიდესი სენსაცია მოხდა. მეორე ბუნდესლიგის ბინადარ „ვოლფსბურგს", რომელიც ახლა თავის ლიგაში მეორე ადგილზეა და მომავალ სეზონში ალბათ უძლიერესებთან ითამაშებს, არავინ უქადდა მოგებას კიოლნში, მაგრამ თავი გამოიჩინა „ვოლფსბურგის" 35 წლის ვეტერანმა ზიგფრიდ რაიხმა, ვისაც ადრე ურდინგენში, ჰანოვერში, დორტმუნდსა და მიონხენგლადბახში უთამაშია და მე-19 წუთზე მატჩის ერთადერთი გოლი შეაგდო. 24 ივნისს ბერლინში „ვოლფსბურგი" გერმანიის თასს სწორედ რაიხის ერთ-ერთ ძველ კლუბს, მიონხენგლადბახის „ბორუსიას" შეეცილება. ამან ოთხშაბათს „კაიზერსლაუტერნს" უმასპინძლა და დამატებითი დროის მე-11 წუთზე ჰაიკო ჰერლიხის მიერ გატანილი გოლით მოიგო.

საფრანგეთის თასის ფინალში, რომელიც 13 მაისს გაიმართება, „პარი სენ-ჟერმენი" და „სტრასბური" ითამაშებენ. პარიზელებმა სამშაბათს შინ ერთი დროს გრანდი, ახლა კი ციმბირში გადასახლებაღა რომ აკლია, „მარსელი" 2:0 დაამარცხეს. ანგარიში მეოთხე წუთზევე გაიხსნა: სტუმართა მცველმა, შერეკილი კანტონას უმცროსმა ძმამ ჟოელმა ჟინოლა წააქცია, საჯარიმო ვალდომ შეასრულა და რიკარდომ ზუსტად დაარტყა. მერე ვეამაც იმარჯვა — 2:0. „მარსელის" გულშემატკივრები თამაშის წინაც შეებნენ მასპინძლებს, წაგების მერე კი მთლად აიშვეს, რისთვისაც პოლიციამ 146 კაცი დააპატიმრა. ამ მხრივ მშვიდად წარიმართა მეორე ნახევარფინალი, რომელშიც „სტრასბურმა" პულიკენის 74-ე წუთზე გატანილი გოლით „მეცი" დაამარცხა.

ბრიტანეთში კი, ინგლისის პარალელურად, შოტლანდიის თასის ფინალისტებიც გაირკვნენ. ოთხშაბათს „სელტიკმა" გადათამაშებაში 3:1 აჯობა „ჰიბერნიანსს" და ახლა მეორე ლიგის ბინადარ „ეირდრი იუნაიტედს" შეხვდება.

გიგა ქობახიძე

**გუშინ საქართველოს თასის პირველი ნახევარფინალური მატჩებიც გაიმართა:**

**„ზუგდიდი" — „დინამო" 3:4,**
**„მეტალურგი" — „ბათუმი" 0:0.**

**საპასუხო მატჩები 15 მაისს შედგება.**

# ალბანელები მოდიან

— ოღონდ ამაზე მეტი არაფერია ცნობილი, თუ არ ჩავთვლით მათ რაოდენობას — დელეგაციაში 26 კაცი იქნება. როგორც შევიტყვეთ, უეფა-ს უსაყვედურია ჩვენი ნაკრების 26 აპრილის სტუმართათვის, თქვენი ვიზიტის შესახებ ქართველებს უფრო წვრილად აცნობეთო. მასპინძლებმა კი გადაწყვიტეს, რომ შეხვედრა 18 საათზე დაიწყება. ცნობილია, რომ მატჩის კომისარია ფინელი გეორგ კრუტელევი, მსაჯები კი ჰოლანდიელი რ. ლუნანგე, რ. ოვერკლიფტი, ტ. ვან დაიკი და ფ. სტერკი (სათადარიგო არბიტრი).

## საქართველოს ჩემპიონატი

### I ჯგუფი

21-ე ტური. 10 აპრილი

**იბერია 1:2 ზუგდიდი**

ივერია: ტოგონიძე, ჩადუნელი, ლურსმანაშვილი, მალანია, ლაცაბიძე, ტყემალაძე, იობაშვილი, ჩიბაშვილი, მარლიშვილი, ქობელაშვილი, წიკლაური

ზუგდიდი: ჭანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, მიქაძე (წიტაიშვილი 86), ქაძანაია, კვარაცხელია, კუტალია, დარასელია, გაბისონია, გაბედავა (აფაქიძე 82)

1:0 ქობელაშვილი (16), 1:1 დარასელია (38), 1:2 გაბისონია (88)

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

**მეტალურგი 1:0 დურუჯი**

მეტალურგი: დოლიძე, ქველაძე, ბურნაძე, არჩვაძე, კობიაშვილი, ყაველაშვილი, კვარაცხელია, გ. კილასონია, პერტია (ჩალაძე 58), ტარტარაშვილი, ალადაშვილი (ზირაქაშვილი 46)

დურუჯი: ალავიძე (პაქსაშვილი 46), ვ. ხუბეჯიშვილი, ყანჩაშვილი (ოსაძე 86), გეგეშიძე, მოსიაშვილი, ბოჭორიშვილი (ჭაჭუა 46), ლობჟანიძე, ჯაშიაშვილი, პოზოიანი, გ. ხუბეჯიშვილი, ლევინიაშვილი

1:0 კვარაცხელია (24)

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

**დილა 0:0 საპოვნელა**

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, გეგეჭკორი, მარეხაშვილი (რევაზიშვილი 65), ციცქიშვილი, წკრიალაშვილი, ზურ. ხორგუაშვილი, ზვ. ხორგუაშვილი (მინდიაშვილი 50)

საპოვნელა: ქათამაძე (თევზაძე 46), კუხიანიძე, გეწაძე, ლილუაშვილი, ხვარეშია, უკლება, ბუნტური, ჯულელი (გურაბანიძე 75), გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ხურცილავა

გაფრთხილება: ხურცილავა

მსაჯი: ა. სამხარაძე

**მარგვეთი 0:0 სამგურალი**

მარგვეთი: გვენცაძე, ბებიაშვილი, გურიელიძე, მალლაკელიძე, ღონღაძე, კაციაშვილი, გაბრიჭიძე, ტონ[illegible] ჩხეტია, კიკნაძე, ენდელაძე

სამგურალი: კიკალეიშვილი, ქობულაძე, თოდაძე, გ. ჯანელიძე, მუშკუდიანი, გ. ჩიხლაძე, ივანეიშვილი, იობიძე, ჯანაშია (ქუთათელაძე 82), აშვეთია, ჩხეტიანი

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

**სამტრედია 3:1 ტორპედო**
**ბათუმი 0:0 კოლხეთი**
**შევარდენი 1:6 დინამო**
**გურია 0:1 კახეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 21 | 18 | 1 | 2 | 59-18 | 55 |
| დინამო | 20 | 16 | 2 | 2 | 84-24 | 50 |
| კოლხეთი | 20 | 14 | 3 | 3 | 42-14 | 45 |
| ბათუმი | 21 | 11 | 5 | 5 | 49-28 | 38 |
| მეტალურგი | 21 | 10 | 6 | 5 | 32-22 | 36 |
| ტორპედო | 21 | 10 | 2 | 9 | 35-31 | 32 |
| დილა | 21 | 8 | 5 | 8 | 15-22 | 29 |
| ზუგდიდი | 21 | 8 | 3 | 10 | 38-37 | 27 |
| გურია | 21 | 7 | 5 | 9 | 32-50 | 26 |
| ივერია | 21 | 7 | 2 | 12 | 31-34 | 23 |
| შევარდენი | 21 | 6 | 5 | 10 | 22-30 | 23 |
| კახეთი | 21 | 5 | 7 | 9 | 25-36 | 22 |
| მარგვეთი | 21 | 5 | 5 | 11 | 15-40 | 20 |
| საპოვნელა | 21 | 5 | 3 | 13 | 24-52 | 18 |
| დურუჯი | 21 | 5 | 1 | 15 | 19-53 | 16 |
| სამგურალი | 21 | 2 | 5 | 14 | 19-50 | 11 |

### II ჯგუფი. აღმოსავლეთი

16-ე ტური, 14, 15 მარტი. ასკ — ალაზანი 2:2, მერანი-ბაჩო — მესხეთი 0:1, შირაქი — სიონი 1:3, აზოტი — მრეტები 4:2, ავაზა — არაგვი 0:0, გვარდია — მერანი-91 0:2, ჭაბუკიანი — თორი 3:2, ქიზიყი — ზოოვეტი 1:6

17-ე ტური, 22, 23, 26 მარტი, 6 აპრილი. მერანი-91 — მერანი-ბაჩო 1:0, ზოოვეტი — აზოტი 5:2, თორი — ავაზა 2:0, ჭაბუკიანი — ასკ 1:5, არაგვი — გვარდია 1:4, სიონი — ქიზიყი 3:0 (ქიზიყი არ გამოცხადდა), მრეტები — ალაზანი 2:2, მესხეთი — შირაქი 3:1

მე-18 ტური, 2, 3 აპრილი. შირაქი — მერანი-91 1:0, მერანი-ბაჩო — არაგვი 3:2, ასკ — მრეტები 2:2, ალაზანი — ზოოვეტი 1:2, გვარდია — თორი 3:0, აზოტი — სიონი 0:0, კრწანისი — ჭაბუკიანი 0:0, ქიზიყი — მესხეთი 2:4

მე-19 ტური 10, 11 აპრილი. მესხეთი — აზოტი 3:1, ავაზა — ასკ 0:2, თორი — მერანი-ბაჩო 0:4, მერანი-91 — ქიზიყი 4:0, ჭაბუკიანი — გვარდია 1:1, არაგვი — შირაქი 2:0, სიონი — ალაზანი 2:0, ზოოვეტი — მრეტები 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მესხეთი | 19 | 14 | 4 | 1 | 46-20 | 46 |
| სიონი | 19 | 14 | 3 | 2 | 55-16 | 45 |
| ზოოვეტი | 19 | 13 | 4 | 2 | 51-17 | 43 |
| მერანი-91 | 19 | 12 | 4 | 3 | 36-9 | 40 |
| მერანი-ბაჩო | 19 | 8 | 5 | 6 | 34-22 | 29 |
| გვარდია | 19 | 8 | 4 | 7 | 30-27 | 28 |
| აზოტი | 19 | 6 | 8 | 5 | 27-25 | 26 |
| შირაქი | 19 | 8 | 1 | 10 | 23-29 | 25 |
| ქიზიყი | 19 | 6 | 5 | 8 | 28-37 | 23 |
| ჭაბუკიანი | 19 | 6 | 2 | 11 | 16-32 | 20 |
| ასკ | 19 | 5 | 5 | 9 | 23-34 | 20 |
| თორი | 19 | 5 | 3 | 11 | 25-42 | 18 |
| არაგვი | 19 | 4 | 6 | 9 | 21-30 | 18 |
| მრეტები | 19 | 4 | 5 | 10 | 20-42 | 17 |
| ალაზანი | 19 | 3 | 3 | 13 | 17-41 | 12 |
| ავაზა | 19 | 2 | 6 | 11 | 17-46 | 12 |

# ინტრიგა. 22-ე ტური. 16 აპრილი

წყვილის შემდეგ ფრჩხილებში მითითებულია პირველი წრის შედეგი, შემდეგ სტრიქონში — საერთო ბალანსი ჩემპიონატებში: მოგება (შინ), ფრე, წაგება, ბურთები.

**ტორპედო — ბათუმი (0:1)**
+6(3) =2(1) -4(1) 23-16 (9-4)

მეორე წრის სტარტზე ბათუმელებმა ზედიზედ ორი მატჩი რომ მოიგეს, ძნელი წარმოსადგენი იყო, მეოთხე ადგილის შესანარჩუნებლად თუ მოუწევდათ ბრძოლა, მაგრამ ბოლო ოთხ თამაშში მათ მხოლოდ 3 ქულა მოაგროვეს (3 ფრე, 1 წაგება) და ზურგსუკან მყის რუსთაველთა სუნთქვა იგრძნეს. ქუთაისელებს წარმატების შემთხვევაში თავად უჩნდებათ ოთხეულში მოხვედრის რეალური შანსი, ასე რომ, ეს შეხვედრა შესაძლოა, ტური ცენტრალურ მატჩადაც მივიჩნიოთ. თუ ამ გუნდების შეხვედრათა ნუსხას გადავხედავთ, მატჩის შედეგის წინასწარ განჭვრეტა იმის მიხედვით, ვინ მასპინძელია, ვინ — სტუმარი, გაგიჭირდება, რადგან მეტოქეები თითქმის თანაბარ შედეგებს აღწევენ შინ და სტუმრად. შეცდომაში არ შეგვიყვანოს იმან, რომ თავში მოხმობილ ციფრობრივ მონაცემებში „ტორპედოს" შინ 3 მოგება უწერია — აქამდე ერთხელ მათ ნეიტრალურ მინდორზე, თბილისში გაიმარჯვეს, ასე რომ, ქუთაისის შეხვედრებში მხოლოდ მცირედით სჯობნიან მეტოქეს. საერთო უპირატესობას „ტორპედომ" ზედიზედ ოთხი გამარჯვების ხარჯზე მიაღწია, თუმცა უკანასკნელ ორ მატჩში ბათუმელებმა იმარჯვეს. საერთმანეთო შეხვედრებში ბომბარდირობენ: დავით ჯანაშია — 5, დარასელია, ხუნდაძე (სამივე „ტორპედო"), ტელუში, მაჭუტაძე (ორივე „ბათუმი") — 4-4 გოლი. პირველი ორი ქუთაისელთა გუნდში აღარ ირიცხება, ასე, რომ უკანასკნელ სამს დაწინაურების შანსი ეძლევა.

**დინამო — გურია (6:0)**
+7(3) =2(2) -1(0) 29-8 (16-3)

იყო დრო, ამ გუნდების შეხვედრები ჩემპიონობის ბედს წყვეტდა, რისი დასტურიცაა ის, რომ პირველი ხუთი მატჩის შემდეგ თბილისელებს მხოლოდ მინიმალური უპირატესობა გააჩნდათ. მომდევნო ხუთი შეხვედრა კი ცალკარობანს დაემსგავსა: დინამოელებმა ხუთივე მოიგეს (მათ შორის, სამი ლანჩხუთში) და თანაც სამი ასტრონომიული ანგარიშით. მეორე წრეში სტუმრები უსუსურად გამოიყურებიან: 6 შეხვედრაში მხოლოდ ერთი მოგება, ისიც ერთ-ერთ აუტსაიდერთან, ერთი ფრე და ოთხი წაგება. მართალია, ლანჩხუთელებს ჯგუფში ადგილის შენარჩუნების პრობლემა აღარ აწუხებთ, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, ათეულში მოხვედრაც გაუჭირდებათ. ამათ შეხვედრებში ბომბარდირობას ალბათ კარგა ხანს არ დათმობს დინამოელი შოთა არველაძე, რომელმაც ცხრაჯერ აიღო მეტოქის კარი. ახლანდელ მოთამაშეთაგან 4 გატანილი ბურთით გამოირჩევა ჯამარაული, ლანჩხუთელთაგან კი ერთ გოლზე მეტი არავის გაუტანია, მათ შორის არის ამჟამად დინამოელი ნემსაძე, რომელმაც ასევე ერთხელ გაუტანა ბურთი „გურიას". ორივე შემთხვევაში მისი გოლები გადამწყვეტი გახლდათ. ამათ 10 მატჩში მხოლოდ ერთი პენალტი დაინიშნა („დინამოს" კარში).

**კოლხეთი — შევარდენი (1:0)**
+5(4) =3(1) -2(0) 14-10 (11-5)

ფოთელები აგრძელებენ წაუგებელ სერიას, რომელიც უკვე 15 მატჩია გრძელდება. ბოლოს მათ 1994 წლის 24 სექტემბერს წააგეს შინ „ბათუმთან", რომელსაც ბოლო ტურში სტუმრად ეთამაშნენ და დაძაბულ ორთაბრძოლაში ნულოვან ფრეს დასჯერდნენ. არადა, აპრილის დამდეგს 8 დღეში სამი უმძიმესი მატჩი ითამაშეს. ჯერ იყო მძიმე ფრე ქუთაისში „ტორპედოსთან", შემდეგ შინ დამაჯერებლად დაამარცხეს თითქმის უკვე საჩემპიონოდ გამზადებული „სამტრედია" და ბათუმშიც ფრეს მიაღწიეს. თუ სასწაული არ მოხდა, მესამე საპრიზო ადგილს ისინი არავის დაუთმობენ. „ბათუმთან" 24 სექტემბრის მარცხის შემდეგ ფოთელები სწორედ შევარდნელებს ესტუმრნენ თბილისში და საკმაოდ შესუსტებული შემადგენლობით (გუნდი ფინანსურ კრიზისს განიცდიდა და თბილისში საკუთარი ავტობუსითაც კი ვერ ჩამოვიდა) შეძლეს მასპინძლების 1:0 დამარცხება, რაც კარგად დაებედათ და მას მერე აღარ წაუგიათ. თბილისელები არასტაბილურად გამოდიან ამ ჩემპიონატში და ჯგუფში ადგილის შენარჩუნებით არიან დაკავებული. ეს მეტოქეები ერთმანეთს ძირითადად ერთბურთიანი სხვაობით უგებენ, დიდი შედეგიანობითაც ვერ გამოირჩევიან და ცალკეულ ფეხბურთელებსაც 2-2 გოლზე მეტი არ გაუტანიათ. გამოსარჩევია წინა სეზონის ბოლოს თბილისში გამართული მატჩი: შევარდენელთა გამარჯვება მართლაც სენსაციური იყო და აკი ფაქტიურად დაასამარეს კიდეც მეტოქის საჩემპიონო იმედები.

**ზუგდიდი — მეტალურგი (1:3)**
+1(1) =1(1) -8(2) 9-20 (5-5)

მეორე წრის პირველივე შეხვედრაში „ბათუმთან" შინ დამარცხების შემდეგ ზუგდიდელებს პირველი ჯგუფის დატოვების რეალური საფრთხე შეექმნათ. ამან, ეტყობა ძალიან შეაფუცხუნა. ისინი და მომდევნო 5 შეხვედრაში ოთხჯერ გაიმარჯვეს (ამათგან ორჯერ სტუმრად) ერთში კი დამარცხდნენ. მეორე წრის სტარტზე ზუგდიდელებმა თითქმის იმდენივე ქულა მოაგროვეს, რამდენიც პირველ წრეში მთლიანად და ისე გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა, ამჟამად პირველ ექვსეულში მოხვედრის შანსიც კი გაუჩნდათ. მათ სტუმრებსაც საკმაოდ სერიოზული ზრახვები ამოძრავებთ — ზედიზედ სამი მოგებული მატჩის შემდეგ ისინი მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებიან მეოთხე ადგილზე მყოფ ბათუმელებს, თანაც, რუსთაველები მასპინძელთათვის ყველაზე უხერხულ მეტოქედ ითვლებიან. პირველ ფრეს ზუგდიდელებმა მხოლოდ მეშვიდე შეხვედრაში მიაღწიეს (ისიც ნეიტრალურ მოედანზე), ხოლო გამარჯვებას მხოლოდ მეცხრეში. ერთმანეთში 7 გოლით საუკეთესო ბომბარდირია გიორგი კილასონია, ხოლო მასპინძელთაგან თავი არავის გამოუჩენია.

**დურუჯი — სამტრედია (2:6)**
+0 =0 -1 2-6

ამ გუნდების პირველ შეხვედრაში ზაზა ჯანაშიას „ჰეთ-თრიქის" გარდა გამოსარჩევი არაფერი მომხდარა საინტრიგო ვითარებას ამ გუნდების დიამეტრულად საპირისპირო სატურნირო მდგომარეობა თუ განაპირობებს. „დურუჯი" ერთადერთი გუნდია, რომელსაც მეორე წრეში ქულა არ აუღია და მეათედან მეთხუთმეტე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

**სამგურალი — დილა (0:3)**
+4(4) =2(0) -2(0) 9-7 (9-1)

პირველი წრის თამაშში წყალტუბოელები დილას შინ არ დაუხვდნენ და წაგება მიესაჯათ. შეიძლება ითქვას, „სამგურალი" მეორე წრეში გარდაისახა — 6 მატჩში წყვილად მოიგო, წააგო და ფრეს მიაღწია, პირველ წრეში კი მხოლოდ სამი შეხვედრის ფრედ დამთავრება შეძლო. ბოლო ტურშიც სათავისოდ ერთ-ერთ მთავარ კონკურენტ „მარგვეთს" სტუმრად ფრე — 0:0 ეთამაშა. წყალტუბოელთა მეტოქე სამიოდე ტურის წინ რეალურად იბრძოდა მეხუთე ადგილისთვის, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბოლო სამ ტურში მხოლოდ ქულალა შეიმატა, ალბათ ეროვნულ ჩემპიონატებში თავისი საუკეთესო შედეგის (VIII ადგილი) გაუმჯობესებას თუ შეეცდება. ციფრებს თუ „დავუჯერებთ", ეს მატჩი უნდა მოიგოს „სამგურალმა", რომელმაც წინა ოთხივე საშინაო შეხვედრაში გაიმარჯვა. საერთმანეთო მატჩებში ბომბარდირობენ — ხარაბაძე („სამგურალი") და ზურაბ ხორგუაშვილი („დილა") — 3-3 გოლი. შეხვედრები კორექტულობით გამოირჩეოდა, მხოლოდ ორი ფეხბურთელია გაფრთხილებული.

**კახეთი — მარგვეთი (1:0)**
+2(1) =0 -3(1) 7-15 (4-6)

„კახეთი" მეორე წრეში საკმაოდ უცნაურად იქცევა — შინ უფრო უარესად თამაშობს, ვიდრე სტუმრად. ასე იყო ბოლო ტურშიც: ლანჩხუთში 1:0 დაამარცხა „გურია" და ზესტაფონელ მეტოქეს 2 ქულით გაასწრო, თუმცა ჯერჯერობით „მარგვეთთან" ერთად, რომელმაც ბოლო ტურში შინ მეტად საჭირო 2 ქულა დაკარგა „სამგურალთან", აუტსაიდერთა სიახლოვეს იმყოფება. თუ არ ჩავთვლით ბოლო შეხვედრას, „კახეთი" — „მარგვეთის" მატჩები ყოველთვის უხვგოლიანობით გამოირჩეოდა. 4 შეხვედრაში (ვრთში კახეთს წაგება ჩაეთვალა გამოუცხადებლობის გამო) 19 გოლი გავიდა, თუმცა მოთამაშეთაგან მხოლოდ ყოფილი მარგვლის ჯულელის გამოყოფა თუ შეიძლება, რომელმაც ერთ მატჩში ოთხჯერ ისახელა თავი. კახელებისაგან განსხვავებით, რომლებმაც პირველ წრეში სტუმრად დაამარცხეს მეტოქე, ზესტაფონელებს თელავში ჯერ არ გაუმარჯვიათ, მათ სტუმრობაში ეთვლებათ ის მატჩი, რომელშიც „კახეთმა" თბილისში უმასპინძლა და სასტიკად დაამარცხა 5:0.

**საპოვნელა — ივერია (0:2)**
+1(1) =0 -2(0) 5-4 (5-1)

თერჯოლელებმა ძალზე საჭირო 4 ქულის აღება შეძლეს ბოლო ორ ტურში, თუმცა კვლავ სახიფათო ზონაში იმყოფებიან, ხაშურელებმა კი მეორე წრის კარგ დასაწყისს ზედიზედ ორი დამარცხება მოაყოლეს. თუ ამჯერადაც დამარცხდებიან, ქულათა სხვაობა აუტსაიდერებთან ერთობ შეუმცირდებათ. სნაიპერთა შორის ლიდერობს ქობელაშვილი („ივერია"), რომელმაც სამივე მატში თითო გოლი გაიტანა, თუმცა ერთხელ პენალტი ვერ გამოიყენა.

**რევაზ შენგელია**

რა ჭკუაზე და ხასიათზე ვიქნებოდი საქართველო — გერმანიის მატჩის შემდეგ, გასაგებია. სხვებისა არ ვიცი, მაგრამ წაგებაზე მეტად ის უფრო მეწყინა, რომ ჩვენებმა მატჩი მოთელვაზევე წააგეს. დიდ მიხვედრილობას არ ვიჩემებ, მაგრამ დაკვირვებული თვალი ამას უსათუოდ შეამჩნევდა. სტადიონიდან პირდაპირ სასტუმრო „აჭარაში", გულშემატკივართა კლუბ „მესეფეში" ავედი, ვიფიქრე, სხვა თამაშებს ვნახავ, გულს გადავაყოლებ-მეთქი. თითქოს ჯინაზე სწორედ ისეთი შეხვედრები ვნახე, რომლებშიც აუტსაიდერებად შერაცხულებმა ფავორიტი გრანდები გამწარეს, ჰოდა, გულის გადაყოლების ნაცვლად, ლამის იყო სიცხემ ამიწია. თურქებმა, წესით ყველა საფეხბურთო კომპონენტით რომ უნდა ჩამორჩებოდნენ შვედებს, ჩვენთვის ყბადაღებული „პირველი გოლის ფაქტორიც" არად ჩააგდეს, ლამის იყო კბილებით ეკვეთნენ რაველის კარს, ორი გოლიც გაიტანეს და მატჩიც მოიგეს. არც კვიპროსელები შეაშინა პირველ წუთზე გაშვებულმა ბურთმა, ევროპის ჩემპიონებს ისე ჟინიანად ეთამაშნენ, მსაჯი რომ ოდნავ ობიექტური მაინც ყოფილიყო, დანიელები დიდი ანგარიშით (!) წაგებას ვერ გადარჩებოდნენ. ბელგიელებმა პირველი მატჩი შინ 1:4 წააგეს ესპანელებთან, მადრიდში კი სწორედ გაშვებული გოლის მერე გაილაღეს და ფრესაც მიაღწიეს. ასევე იყოჩაღეს, თანაც სტუმრად, ირლანდიაში, ჩრდილოირლანდიელებმა. ალბანეთმა კი, აგერ, მოლდოვა გაანადგურა. მოკლედ, ცეცხლზე ნავთი დამესხა... ქართველ გულშემატკივართა დიდი ნაწილი მატჩის წინ პესიმიზმს შეეპყრო, ნაწილიც ფრეს „გეგმავდა", ყველაზე „შერეკილები" კი დიდი ანგარიშით მოგებასაც მოითხოვდნენ! მე ერთი გულშემატკივრის აზრს ვიზიარებ: „წაგება კი არ მეწყინა, იმან მომიკლა გული, ჩვენები მოსაგებად რომ არ გამოვიდნენ. რა აქ მოსატანია, მაგრამ „პირველი მერცხალის" ფინალი გამახსენდა: იქაც დიდი ანგარიშით წავაგეთ, იქაც ძალამ აღმართი მოხნა, მაგრამ მარცხმა ქართველებს ჟინი მაინც არ ჩაუცხრო და იმედიანი „აპა ულაც" დააგუგუნეს. ჩვენი ბიჭები კი, შეშინებულებმა რომ დაიწყეს, თამაში, მატჩის მერეც დათრგუნვილები ჩანდნენ..."

ფეხბურთელმა, ვისაც მთელი საქართველო იმედით შეჰყურებდა, ვერ შეძლო თამაშის ჩვეული გაძღოლა, და ეს აკი მთელ ჩვენ გუნდსაც დაეტყო. გიორგი ქინქლაძესთან ამ ინტერვიუს დიდი ნაწილი სწორედ საქართველო — გერმანიის მატჩს ეხება...

# ყოვლისშემძლე ხომ არა ვარ...

**— მაინც რა იყო საქართველოს ნაკრების მარცხის ძირითადი მიზეზი ამ თამაშში?**

— ფსიქოლოგიური სტრესი. თამაშის წინ ყველა ნერვიულობდა. ჰიმნის შესრულებისას პირიც კი გამიშრა, გამუდმებით ტუჩებს ვისველებდი. ვერაფრით მოვიხსენი დაძაბულობა, თანაც მატჩი ცხრა საათზე იწყებოდა და ამანაც თავისი ქნა. მატჩამდე დარჩენილ დროში ადგილს ვერ ვპოულობდი, ვერაფრით დავწყნარდი. ადრე რომ დაწყებულიყო, ნაკლებად დაძაბული გავიდოდი სათამაშოდ. მატჩამდე დარჩენილი ნელი საათები ხომ ნამდვილი ტანჯვა იყო. სხვათა შორის, ჩივაძემ ძალზე კარგად მოგვამზადა ამ თამაშისთვის, ცხადია, მეც არაფერი დამაკლო, მაგრამ გავედი თუ არა მოთელვაზე, მუხლებში ძალა მომაკლდა, ბურთსაც ველარ ვიმორჩილებდი. ბიჭებსაც იგივე შევამჩნიე და მივხვდი, რომ წასაგებად განწირულნი ვიყავით...

**— ეს მეტნაკლებად ყველას ეტყობოდა, მეკარე დევაძეს კი მსგავსი ვერაფერი შევნიშნე...**

— ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, ვის როგორ წაუვიდოდა თამაში. დევაძემ პირველი ბურთი აიღო და გაიხსნა კიდეც. სამწუხაროდ, ვერცერთმა ჩვენიანმა ვერ შეძლო ეგრეთ წოდებული თამაშის თავის თავზე აღება...

**— არადა, ეს უპირველესად შენ გევალებოდა...**

— ასეა, მაგრამ ვერ ვივარგე. მგონი, მოთელვაზევე მეტყობოდა, რა დღეშიც ვიყავი და რისი თავი მქონდა.

**— ამ ყოველივეს მიუხედავად, ნუთუ ამ მატჩში უკეთ თამაში არ შეიძლებოდა?**

— რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. ბურთი უნდა დაგვეჭირა, „გაგვეგორებინა". მერე და მერე შევატყვე, რომ გერმანელებს ყოველი ასეთი მომენტი, ცოტა არ იყოს, აბნევდა კიდეც. არადა, იყო ამის შესაძლებლობა. არც ისე მჭიდროდ თამაშობდნენ, როგორც გვეგონა. ბურთის მიღების და ხანდახან მოტრიალების საშუალებასაც გვაძლევდნენ. მოკლედ, შეიძლებოდა, „ჩვენი" გვეთამაშა.

**— თამაშის წინ თქვენი ასეთი დაფეთება ალბათ იმის ბრალიცაა, რომ ნაკრები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ჯერაც არა აქვს საკუთარი სახე...**

— რა თქმა უნდა. ჩვენ კი არა, ჩვენზე გამოცდილ მოთამაშეებსაც დამართვნიათ ასე. მექსიკაში და იტალიაში ფინალის წინ თვით მარადონაც კი ძალიან ნერვიულობდა თურმე. ეს ადამიანური მომენტია, ნერვები ყველას აქვს. მთავარია, თამაშის დროს მოერიო თავს, ეს კი მხოლოდ ჩამოყალიბებულ პროფესიონალს შეუძლია.

**— მიუხედავად შიშისა და დაბნეულობისა, შენთვის ჩვეული ორი საგოლე გადაცემა მაინც „გაუხერხე" შოთა არველაძეს და გოგრიჭიანს...**

— ორივეს შევატყვე, რომ ვერ გაიტანდნენ. შოთამ ბურთის მიღებისთანავე ისე დაბნეულად მიმოიხედა, მივხვდი, ვერ გაიტანდა. არადა, ყველაფერი სწორად გააკეთა, მეკარეც კარგად დააწვინა. არც გოგრიჭიანს შეშლია რამე დარტყმამდე, მაგრამ უშუალოდ დარტყმა რაღაცნაირად ნაჩქარევი გამოუვიდა.

**— შოთა არველაძე პირველ ტაიმში ერთადერთი თავდამსხმელი იყო, მას, ფაქტიურად, არავინ ეხმარებოდა და გერმანელებსაც ეს უნდოდათ — თითქმის მუდმივად სამი მცველი მეურვეობდა, თანაც რა მცველები! მარტო იუვენტუსელი კოლერი რად ღირს. მიუხედავად ამისა, შოთამ რამდენიმე მწვავე მომენტი შექმნა. შენი აზრით, განა უკეთესი არ იქნებოდა, ორი თავდამსხმელით დაგვეწყო თამაში? მცველებს ხომ ორ კაცზე კონცენტრირება უფრო გაუჭირდებოდათ და ვინძლო საქმეც სხვანაირად წასულიყო...**

— მწვრთნელის დავალებით ჩვენი მთავარი ამოცანა ის იყო, შუა ხაზი არ დაგვეთმო გერმანელებისთვის. მაგრამ თამაშისას მივხვდი, რომ მატჩის ორი თავდამსხმელით დაწყება გაცილებით უკეთესი იქნებოდა. აკი მეორე ტაიმში, როდესაც შოთას ყაველაშვილი და გოგრიჭიანი მი[illegible] ეხმარნენ, თამაშიც გათანაბრდა და საგოლე მომენტებიც შევქმენით.

**— როცა „კიკერმა" ამ მატჩის მონაწილე ფეხბურთელები შეაფასა, ქართველთაგან ყველაზე მაღალი ბალი — 2 შენ და გოგიჩაიშვილმა დაიმსახურეთ. ქართველი მაყურებელი კი ქინქლაძის თამაშმა იმ დღეს გაწბილებული დატოვა. შენ რითი ახსნი „კიკერის" ორიანს, ნუთუ მხოლოდ გერმანელი ჟურნალისტების პროფესიონალიზმით, ანუ იმით, რომ მათ ცხელ გულზეც კი ცივი გონებით შეუძლიათ მომხდარის შეფასება?**

— გერმანელმა ჟურნალისტებმა ალბათ უფრო ინდივიდუალური თამაშისთვის შემაფასეს ორიანით, იყო მომენტები, როცა ამ მხრივ რაღაცა გამომდიოდა.

**— პრესაში შენი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას თუ ეთანხმები?**

— ჟურნალისტს ტყუილი რაში სჭირდება, რაც დაინახა, იმას დაწერს. პრესასთან კამათი უაზრობად მიმაჩნია, თუმცა



საქართველო — გერმანია. დიტერ აილტსისა და გიორგი ქინქლაძის ორთაბრძოლა

ჩემი აზრი ყოველთვის არ ემთხვევა ჟურნალისტისას. თქვენს გაზეთში დაიწერა, მარჯვნივ თამაშობდაო. მე ამ თამაშში არაერთხელ ამოვჩნდი მარჯვნივ, მაგრამ ეს წმინდა სათამაშო სიტუაციით იყო ნაკარნახევი. მუდამ ცენტრში დარჩობილი ხომ არ ვიქნები?! გერმანიის მატჩის მერე, ისეთ გუნებაზე ვიყავი, სულ არ მაინტერესებდა, ვინ რას დაწერდა... ისე, მთავარია, ჟურნალისტს ბოლმამ არ დააწერინოს რამე...

**— თანაგუნდელთაგან ვის გამოჰყოფდი?**

— უკვე გითხარი, ყველაზე კარგად დევაძეს წაუვიდა თამაში-მეთქი. მან არაერთხელ გადაგვარჩინა. ცხადაძემაც ჩვეულ დონეზე ითამაშა.

**— ყველაზე ხშირად აილტსთან გიხდებოდა ორთაბრძოლა და ძირითადად ის გამოდიოდა გამარჯვებული. ეს მისი დამსახურება იყო თუ შენი სისუსტე?**

— აილტსი, რა თქმა უნდა, ჩინებული ფეხბურთელია, მაგრამ რომ ვთქვა, სასწაული გააკეთა-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ეს ბრძოლა მე წავაგე, აილტსს კი არ მოუგია. მან რაც იცოდა, ის ითამაშა. თანაც მობილიზებული იყო, მე — ვერა. ამიტომაც მოიგო...

**— ნაკრებზე რაღას იტყვი, თქვენ წააგეთ თუ გერმანელებმა მოიგეს?**

— რა თქმა უნდა,პირველ რიგში, ჩვენ წავაგეთ. თუმცა ამას რომ ვამბობ, გერმანელების ოსტატობას როდი ვაკნინებ. ვთვლი, რომ ეს არ იყო გერმანელთა საუკეთესო თამაში, დიდი არაფერი გაუკეთებიათ, მივეცით საშუალება და მოგვიგეს. გამოცდილებით გვძლიეს, ჩვენ ამგვარი მატჩის გამოცდილება არ გვქონდა...

**— რა შეიცვლებოდა, გერმანელებს მათეუსი, ზამერი, რიდლე, ტოდტი რომ ჰყოლოდათ?**

— ვფიქრობ, ბევრი არაფერი, ჩემი აზრით, გერმანელებს სამი სრულფასოვანი ნაკრების გამოყვანა შეუძლიათ. არადა, თავიდან რომ გავიგეთ, მათეუსი და ზამერი არ ჩამოვლენო, სიხარულით ცას ვეწიეთ...

**— შესვენებაზე რაზე გესაუბრათ ჩივაძე, რის შეცვლა მოგთხოვათ?**

— ჩვენს ხარვეზებზე მიგვითითა, საერთოდ კი თამაშის ისევე გაგრძელება გვირჩია.

**— ჯარიმები და კუთხურები ჩვენმა მოთამაშეებმა, მათ შორის შენც, საკმაოდ უსახურად დაარტყეს. არადა, ხშირად მატჩის ბედს ერთი ზუსტად დარტყმული საჯარიმო ან კარგად ჩამოწოდებული კუთხური წყვეტს — ეს გერმანელებმაც დაგვიმტკიცეს...**

— ეს საქართველოს ნაკრების დიდი ნაკლია. თითქოს ბევრს ვმუშაობთ ამის გამოსასწორებლად, მაგრამ, ვფიქრობ, ეს არასაკმარისია, უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ ამაზე, მითუმეტეს, რომ შემსრულებლები გვყავს.

**— მატჩში პენალტი რომ დანიშნულიყო, ვის უნდა დაგერტყათ?**

— მწვრთნელის მითითებით, მე, ან შოთა არველაძეს. გააჩნია, იმ მომენტში რომელი უფრო მზად ვიქნებოდით ფსიქოლოგიურად.

**— უკვე ყბადაღებული „პირველი გოლის ფაქტორზე" რას იტყვი? თითქოს პირი შეკრესო, დამარცხების მიზეზად ლამის ყველამ პირველი გოლის ფაქტორი დაასახელოს. ამან, მგონი, ნაკრებიც დააკომპლექსა: გავუშვებთ გოლს — უეჭველად ვაგებთ, გავიტანთ — უეჭველად ვიგებთ. ნუთუ არ შეიძლება, გაუშვა გოლი, მაგრამ მერე მოიგო? რაღა ცუდ მაგალითს ვიღებთ, კარგი გავიხსენოთ: იმავე გერმანელებს ერთი კი არა, სამი გოლი გაუშვიათ და მერე ხუთი გაუტანიათ.**

— ესეც ჩვენი ფსიქოლოგიური მოუმზადებლობით აიხსნება. ეს პირველი გოლის ფაქტორი მართლაც დამღუპველად მოქმედებს ჩვენზე. გოლი რომ გავუშვით, ვიფიქრე, მორჩა, წავაგეთ-მეთქი. სხვებიც ასე ფიქრობდნენ. არადა, ერთი რომ გაგვეტანა, ვინ იცის, რა თამაში წავიდოდა. მოკლედ, ესეც გამოუცდელობის ბრალია.

**— ერთი სიტყვით, გერმანელებთან მატჩი დიდი გამოცდა იყო თქვენთვის. თუ გრძნობ, რომ ამ თამაშმა ბევრი შეგძინა?**

— წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით, ფაქტიურად, ბევრი არაფერი. ვიცოდით, რას და როგორ ითამაშებდა გერმანია და ასეც მოხდა, მაგრამ ჩვენ ვერაფერი დავუპირისპირეთ. აი, გამოცდილება კი ნამდვილად შეგვძინა. ვფიქრობ, მომდევნო მატჩებში უფრო თავისუფლად ვითამაშებთ.

**— იქნებ ზოგი რამ ისეთიც ისწავლეთ, გერმანისთან იქ მოსაგებად რომ გამოგადგებათ?**

— ვცადოთ, იქნებ გავფრინდეთ?! ისე, მოურეველი არავინ არის, აკი გითხარი, ბურთს გვაღებინებდნენ, თავისუფლად გვათამაშებდნენ-მეთქი. სხვა საქმეა, რომ ვერ გამოვიყენეთ. გერმანიაში სულ სხვა თამაში წავა.

**— პირადად შენ როგორ ითამაშებ?**

— მე სასწაულმოქმედი არა ვარ. ჩემი საქმე რამდენიმე კაცის მოტყუება, თამაშის გაშლა, შეტევის წარმართვა, კარში დარტყმა, საგოლე პასის მიცემაა. მე ზურგს ძლიერი საყრდენი ნახევარმცველი უნდა მიმაგრებდეს, თუ უკან ჩამოსვლაზეც ვიფიქრე, ჩემსას ვეღარ ვითამაშებ, ვეღარც გუნდს გამოვადგები. აი ესაა ჩემი საქმე და თუ როგორ შევძლებ ამას, აკი გითხარი, მთლად ჩემზე არ არის დამოკიდებული. ჩემი სამოქმედო "ტერიტორიაც" ჩვენი საჯარიმოდან მეტოქის მთელ ნახევარზე უნდა ვრცელდებოდეს.

**— ასეთ შემთხვევაში რომელ ქვეყანაში გირჩევნია თამაში, როგორ გგონია სად უფრო შეძლებდი ჩვეულ სტილში მოქმედებას და შენი შესაძლებლობის სრულად გამოვლენას?**

— ესპანეთში. თუ ფიზიკურად კარგად მოვემზადები, ვფიქრობ, იქ ჩემს ფეხბურთს ვითამაშებ. ესპანეთში უფრო მექნება ჩემი საუკეთესო თვისებების გამოვლენის შესაძლებლობა. ამ ქვეყანაში სწორედ საჩემო ფეხბურთს თამაშობენ.

**— აკი მალე წახვალ კიდეც...**

— სეზონის ბოლოს „რეალის" ემისარს ველოდები. მანამდე კი ესპანურ ენას ვსწავლობ.

**— მაინტერესებს რა სჯობს შენი აზრით, ჩვენი ნაკრები ლეგიონერთაგან იყოს შედგენილი, თუ საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზეთაგან?**

— ამ ეტაპზე უდაოდ, ლეგიონერთაგან. ჩვენი ჩემპიონატი ძალიან დაბალი დონისაა.

**— ასე რომ არ იყოს, რა უნდა გაკეთდეს?**

— გასაკეთებელი ბევრია, პირველ რიგში კი — უმაღლეს დივიზიონში გუნდების რაოდენობის შემცირება. ვფიქრობ, 14 გუნდი არ წრეში სავსებით საკმარისია.

**— ახლა თბილისის „დინამოზეც" ვილაპარაკოთ. გუნდი კვლავ ჩაიბარა დავით ყიფიანმა, ვისთანაც პირადად შენ არასდროს გიმუშავია. ამ მოკლე ხანში რაიმე თუ შეიცვალა „დინამოში"?**

— ყიფიანის ხელი პირველ რიგში დისციპლინას დაეტყო, რაც „დინამოს" ძალზე აკლდა. ეს აშკარა და შესამჩნევია. ვარჯიშის მხრივ კი ბევრი არაფერი შეცვლილა, მაგრამ აქ ყიფიანი არაფერ შუაშია: ყოველ მესამე დღეს ვთამაშობთ. თამაშის მომდევნო დღე დასვენებას და ძალების აღდგენას უნდა, მატჩის წინა დღეს კი გუნდს დიდად ვერ დატვირთავ. აი, ასეთ დღეში ვართ ჩვენც და სხვებიც.

**— „შევარდენთან" თამაშის წინ რამ მოგწამლათ?**

— ცხადია საკვებმა, მთელი გუნდი მოიწამლა, ფეხზე ძლივს ვიდექით. უნდა გენახათ რა დღეში იყო ბატონი ზაქრო თელია.

**— ორიოდ კვირაში ალბანეთთან თამაში გველის. ალბანეთი გერმანია არაა და თანაც „გერმანული გაკვეთილის" მერე ბიჭები ალბათ ფსიქოლოგიურად უკეთ იქნებიან მომზადებულნი...**

— ცდება, ვინც ფიქრობს, ალბანეთს უეჭველად მოუგებს. ჩვენ ტირანაში მეორე ტაიმში არაერთხელ გადავრჩით. თანაც, ალბანელებმა ახლახან მოლდოვას მოუგეს, ჩვენთანაც გამარჯვებისათვის და რევანშისთვის გამოვლენ. აქ ერთი ან ორი კაცის კარგი თამაში არაფერს მოგვცემს, მატჩის წინ თერთმეტივე ფეხბურთელი მომზადების პიკზე უნდა იყოს.

სულ ვნატრობდი, ნეტავ 100 000 მაყურებლის წინაშე მათამაშა-მეთქი. გერმანიასთან მივხვდი, რომ ესეც უზარმაზარი ტვირთი ყოფილა. ალბანელებისა არ იყოს, ახლა ჩვენც აღარაფერი გვაქვს დასაკარგი და, ვფიქრობ, მაყურებელი კარგ თამაშს იხილავს...

მამუკა კვარაცხელია

# ტელეისტერია და ბევრი ფული

„უორლდ სოკერის" ცნობილი მიმომხილველი ქირ რედნიჯი წერილში, სადაც ფეხბურთის საქმეებში ტელევიზიის როლსა და დღევანდელ დღეზე საუბრობს, ამასაც წერს: „რას მიქვია ინგლისური, ფეხბურთი — აი უნივერსალური ენა". ფეხბურთი სხვა პოპულარული სახეობებისგან განსხვავებით, ერთ რომელიმე რეგიონსა თუ კონტინენტზე კი არა, მთელ პლანეტაზეა გავრცელებული. რაღა ახსნა-განმარტება უნდა, რომ „ჩვენი სპორტის", როგორც მას ხშირად უწოდებენ უბრალო ადამიანები, ტელეაუდიტორია საოცრად მრავალრიცხოვანია. სატელევიზიო სიგიჟე მას მერე დაიწყო, რაც თანამგზავრებმა და კაბელებმა არხების რაოდენობა ერთიორად გაზარდეს. მარტივი ლოგიკაა, რაც მეტი არხია, მათ შორის ფეხბურთის გადაცემის უფლებისთვის ბრძოლა მით უფრო მძაფრია. თანდათან საქმე იქამდე მივიდა, რომ ფიფა-ს შარშანდელმა მსოფლიოს ჩემპიონატმა მილიონები მოუტანა. ყველა ცნობილი ფირმა იმას ლამობდა, რამენაირად თავისი სარეკლამო ფარი მოედნის ირგვლივ მოეთავსებინა და ერთი ასეთი ფარის დადგმაში 20 მილიონ დოლარს იხდიდა. ახლა თავად ტელეკომპანიებზე: მძლავრ ტელეკომპანიებს ყველა ქვეყანაში სფეროები განაწილებული აქვთ. ბრიტანეთში, მაგალითად BBC 1 და SKY ინგლისის პრემიერლიგის შეხვედრებს გადასცემენ, ITV-ს ჩემპიონთა ლიგა ჩაუგდია ხელთ, ხოლო მეოთხე არხი იტალიის ჩემპიონატის პირდაპირ ტრანსლაციებს აწყობს. გარდა ზემოჩამოთვლილისა, ნებისმიერი ბრიტანელი, ვინც ჯიბეზე ხელს გაიკრავს და თეფშ-ანტენა „ასტრას" დააყენებინებს, ნახავს SKY SPORT-ს და EUROSPORT-ს, გერმანულ DSF-ს, რომელიც ძირითადად თავისი ქვეყნის ამბებს უტრიალებს, მაგრამ ესპანეთის და იტალიის მატჩების ჩვენებასთანაც არ არის მწყრალად, ZDF-ს, სადაც, მაგალითად, შეიძლება ნახოთ, როგორ ჩადის ბერტი ფოგთსი კაიზერსლაუტერნში და როგორ ბრუნდება უკან. გადაცემების მოწყობა სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვანაირად ხდება. ინგლისში ევრომატჩების ტრანსლაციაზე კლუბები, ფირმები და ტელეკომპანიები (უპირატესად ITV) ცალ-ცალკე უთანხმდებიან ერთმანეთს, გერმანიაში კი ტრანსლაციების გაყიდვით მიღებული თანხა მიდის მთავარ სალაროში, საიდანაც ყველას, ევროთასების მონაწილეს თუ არამონაწილეს, უნაწილდება. ამდენად, ევროპაში გასული გერმანული გუნდების შიდა მეტოქეები სულაც არ წუხან, თუ მათ შეხვედრებს გადადებენ, რადგან იციან, რომ რაც უკეთ მოემზადება ევროთასზე გასული მეტოქე, მით მეტ ეტაპს დაძლევს და შესაბამისად მასაც მეტი ფული ერგება.

ამქვეყნად ცალსახა არაფერია, ტელეტრანსლაციები მომგებიანია, მაგრამ ვაითუ სტადიონებს ხალხი მოაკლონ. უეფა ამ ეჭვმა მიიყვანა მე-14 დადგენილებამდე, რომლის თანახმადაც მასპინძელ ფედერაციებს ნება ჰქონდათ ტრანსლაციის დრო თავად დაედგინათ, ოღონდ ეს ამბავი აუცილებლად უნდა შეეთანხმებინათ იმ ქვეყანათა ფედერაციებთან, რომელთა ტერიტორიაც სიგნალს უნდა გაევლო. წინააღმდეგ შემთხვევაში მასპინძელს დიდძალი ჯარიმის გადახდა მოუწევდა. ამ გადაწყვეტილებამ ტელეკომპანიები ააჯანყა. მათ ნაირნაირი კონსტიტუციები და დეკლარაციები გადაქექეს და განაცხადეს, რომ მე-14 დადგენილება ინფორმაციის მიღება-გავრცელების უფლებიდან დაწყებული, მშრომელთა უფლებებით დამთავრებული, ყველაფერს ლახავდა. მათი მტკიცებით ტელეტრანსლაციები არათუ ამცირებდნენ სტადიონზე დასწრებას, არამედ პირიქით, ფეხბურთს ისეთ რეკლამას უწევდნენ, რომ ამის შემხედვარე ხალხი ბილეთების რიგში ათენ-აღამებდა. თავის მხრივ პორტუგალიამ „იყოჩაღა", აქაოდა, სხვათა თამაშის სიგნალმა ჩემს მიწა-წყალ-ჰაერში უნდა გაიაროსო, იტალიასა და ესპანეთს თამაშების მიღება-გადაცემას უშლიდა. მიზეზი: იმ საათებში პორტუგალიის მესამე ლიგის შეხვედრები მიმდინარეობდა.

ჩემპიონთა ლიგის მოგონებამ ახალი წესი დაამკვიდრა, უეფა-ს, ჩემპიონთა და თასების თასის თამაშები სამშაბათ-ოთხშაბათ-ხუთშაბათზე განაწილდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ საეთერო დრო გახლდათ: ლიგამ ტელესაგიჟეთი შეუქცევადი გახადა, თავად ფეხბურთი კი სპორტიდან შოუბიზნესად აქცია. ღმერთმა ნუ ქნას, ტელეისტერიის საგანი ხვალ ფეხბურთის ნაცვლად სხვა რამ გახდესო, ლოცულობენ გულშემატკივრები. ჩვენ კი გავეცნოთ, ევროპის ქვეყნებში რა ხდება.

ინგლისი. წლების მანძილზე BBC-ITV ფეხბურთის ფასს აკნინებდა. შემდეგ აღმოცენდა ITV-ს SNATCH OF DAY (დღის ნაწყვეტები), რომელმაც საფეხბურთო ლიგასთან ექსკლუზიური ხელშეკრულება დადო. ფაქტობრივად, ITV-მ განაპირობა ის, რომ BBC-მ და SKY-მ ლიგასთან კონტრაქტები შეცვალეს და მეტი ხარჯი გაიღეს — 304 მილიონი გირვანქა. SKY აწყობს შიდა ჩემპიონატის კვირა შუადღის და ორშაბათ საღამოს, აგრეთვე ინგლისის ნაკრების საშინაო მატჩების ტრანსლაციებს. ფეხბურთის ასოციაციის თასის შეხვედრებს მასთან შეამხანაგებული BBC გადასცემს, რომელიც თავის მხრივ ქვეყნის პირველობის შაბათის თამაშებს და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შეხვედრათა მომენტებს აჩვენებს. პირველ დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაზე ექსკლუზიური უფლება ITV-ს აქვს, რომელიც აგრეთვე ევროტურნირების ცალკეულ თამაშებს უშვებს ეთერში.

საფრანგეთი. ფეხბურთს სამი არხი გადასცემს. CANAL+ ქვეყნის ჩემპიონატის პირდაპირი რეპორტაჟებით არის დასაქმებული. ამის გარდა, არხს პროგრამაში მიმოხილვები და ახალი ამბები აქვს. FRANCE 2 მოიცავს საფრანგეთის თასს, ერთი თამაშის პირდაპირი ჩვენებით. კერძო TF 1 კი შიდა პირველობას მიმოიხილავს, აჩვენებს ლიგის თასის ერთ თამაშს და სხვა საინტერესო ფრაგმენტებს, ჩემპიონთა ლიგას, დანარჩენ ევროთასებს და დამატებითი მოლაპარაკებებისთვისაც მუდამ მზად არის. ფრანგული კლუბები ტელევიზიიდან წლიურ ნახევარ მილიონ გირვანქას იღებდნენ, მაგრამ მარსელის ამბების შემდეგ საქმე აირია. ალბათ მომავალიც არ იქნება ლაღი, რადგან „პარი სენ ჟერმენის" თამაშები მხოლოდ CANAL+ აქვს შეძენილი. ამგვარად, საფრანგეთში ურთიერთობები გასარკვევია.

გერმანია. ფეხბურთის მუდმივი გამშუქებელი ექვსია. სათანამგზავრო SAT1-ს უფლება აქვს შაბათობით 90 წუთის განმავლობაში მიმოიხილოს ბუნდესლიგის თამაშები, კვირას კი პირდაპირი გადაცემა მოაწყოს. იგი იტალიურ ლიგასაც აჩვენებს. ARD რეგიონულ ლიგებსა და გერმანიის თასზე, ZDF კი მხოლოდ თასზე ფლობს ნებართვას. ამ ორ სახელმწიფო არხს ეროვნული ნაკრების თამაშებიც აბარია. სამი დანარჩენი არხი კერძოა. RTL — ჩემპიონთა ლიგა, DSF — მეორე ბუნდესლიგის 20 შეხვედრა, ესპანეთისა და იტალიის პირდაპირი რეპორტაჟები, ზამთრის მინიტურნირები და PREMIERE — 1998 წლამდე ყოველკვირეულად ტურის უმწვავესი შეხვედრის პირდაპირი ტრანსლაცია. ტელევიზიიდან ბუნდესლიგის კლუბები წლიურად 1,6 მილიონ გირვანქას იღებენ. ამ თანხაში არ შედის კვირ[..]ლისა და ჩემპიონთა ლიგის მონაგები.

იტალია. 1993 წელს სახელმწიფო ტელეკომპანია RAI-სა და ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას შორის დადებული ხელშეკრულება ძალაში კიდევ ერთი წელი იქნება. კონტრაქტი 120 მილიონ დოლარად შეფასდა. RAI, ამრიგად, ერთადერთია, ვინც იტალიის ჩემპიონატს და ნაკრების თამაშებს აჩვენებს. აგრეთვე მისია ქვეყნის თასის და ევროტურნირების უდიდესი ნაწილი. სატელევიზიო ომის თავიდან ასაცილებლად RAI-მ სერია A-ს კვირის ერთი რეპორტაჟისა და სერია B-ს შაბათის თამაშის ჩვენების უფლება TELEPIU 2-ს მიყიდა. ეს უცნაური იყო, რადგან ამ არხის 10 პროცენტის მფლობელი (სეზონში 10 მილიონ დოლარად) RAI-ს მძვინვარე მტერი სილვიო ბერლუსკონი და მისი ფინანსური ჯგუფია. RAI-მ ჩემპიონთა ლიგის მატჩები, აგრეთვე უეფა-ს და თასების თასების თასის ზოგი შეხვედრა FININVEST-ს გადასცა. იტალიის ტელევიზია საერთოდაც ყველაზე შერეკილია. იტალიელ უსაქმურს კვირის განმავლობაში შეუძლია 50 საათი ფეხბურთს უყუროს, შაბათ-კვირა კი უბრალოდ კოშმარია. დღის ორის ნახევრიდან შუაღამემდე ფეხბურთის ცქერაა შესაძლებელი. არხები მიმოიხილავენ ყველა ლიგის ყველა მატჩს, ეწყობა გაუთავებელი მიმოხილვები, მომხდარის ანალიზი თუ მოსახდენის პროგნოზი.

ესპანეთი. 1993 წლის აგვისტოდან 1994-ის 31 ივლისამდე ესპანეთის ტელევიზიამ 788 თამაში გადასცა, რომელთაგან 512 პირდაპირი გახლდათ. ამბობენ, ეს სეზონი ახალ რეკორდს დაამყარებსო. TVE-ს ეროვნულ ჩემპიონატზე აქვს უფლება (და მას სპონსორობასაც უწევს), გადასცემს ჩემპიონთა ლიგას. სხვა ევროთასებს ANTENA 3 აკონტროლებს, რომელიც წლეულს მართლაც რომ სუპერარხად იქცა. უქმეებზე ტრანსლაციები შაბათ საღამოს ექვსი საათიდან იწყება, ამ დროს რეგიონული არხები მეორე ლიგის შეხვედრებს გადასცემენ. ცხრა საათზე მაღალი დონის მატჩის პირდაპირი გადაცემა იწყება. კვირას CANAL+ შვიდის ნახევარზე იწყებს რეპორტაჟს, შაბათს ინგლისიდან აქვს პირდაპირი ჩვენება, კვირას კი იტალიიდან. შიგადაშიგ გერმანული მატჩიც ერევა. ტელევიზიის მიერ გადახდილი თანხა 26 მილიონია, რომელიც იყოფა იმ ფულად, პირდაპირი რეპორტაჟის მონაწილე გუნდები რომ იღებენ და იმად, სეზონის ბოლოს პრემიებად რომ რიგდება.

# მარადონამაც ასე დაიწყო

გუშინ სპარსეთის ყურის ქვეყანა ყატარში დაიწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც, წესითა და რიგით, ნიგერიაში უნდა გამართულიყო, მაგრამ ფიფა-ს ხრიკების გამო ნავთობის რეწვით გამდიდრებულ არაბებს ერგოთ. ორკვირიან ტურნირში ოთხ ქვეჯგუფად განწილებული 16 გუნდი ჩაება. აი, ისინიც:

„ა": ყატარი, რუსეთი, სირია, ბრაზილია (ჩემპიონი); „ბ": ბურუნდი, ესპანეთი, ჩილე, იაპონია; „გ": პოლანდია, არგენტინა, ჰონდურასი, პორტუგალია; „დ": ავსტრალია, კოსტა-რიკა, კამერუნი, გერმანია

სტარტამდე სამი დღით ადრე განამ ბურუნდისა და კამერუნს მოუწოდა, ნიგერიას სოლიდარობა გამოუცხადეთ, ჩემპიონატს კი — ბოიკოტიო, მაგრამ ამათ არ დაუჯერეს არამკითხეს. კამერუნს თავისი ბიჭების დიდი იმედი ჰქონია და მავან ვარსკვლავსაც კი ათამაშებს, ვინძლო მარადონასავით ივარგოსო — დიეგოს სახელი მსოფლიომ ასეთსავე შეჯიბრებაზე შეიტყო, 1979 წელს იაპონიაში რომ გაიმართა.

# ფეხბურთს ტაიმ-აუტებიც ეკლება

შეიძლება ისე მოხდეს, რომ ფეხბურთშიც შემოიღონ ტაიმ-აუტები. ეს წესი უკვე გამოუცდიათ ბრაზილიისა და შვედეთის საქმოსნურ შეჯიბრებებში, ივნისში კი ქალთა მსოფლიო პირველობაზეც გასინჯავენ. სიახლეს ბევრი მომხრე ჰყავს, მეტადრე კი ტელევიზია, ვინაიდან ორწუთიან პაუზებს რეკლამების გასაშვებად გამოიყენებენ. თითო ტაიმში გუნდებს თითო ამგვარი შესვენების აღება შეეძლებათ — დაისვენებენ, წვენებს მიირთმევენ და მწვრთნელის დარიგებასაც მოისმენენ. დიდი გვამებიდან მხოლოდ გერმანიის მწვრთნელ ბერტი ფოგტსს გამოუდვია თავი, შესასვენებლად ორი წუთი მეტისმეტია — ერთიც იკმარებსო. თუ ცდა წარმატებით დასრულდა, თამაშის წესების დამდგენი საერთაშორისო საბჭო მას იმ დროს დაამტკიცებს, საგაისო ევროპის პირველობისთვის რომ მოესწროს ამოქმედება.

## ფეხბურთის რუკასთან



იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ უარყო „ჯენოასა" და „მილანის" აპელაცია, ორ-ორი თამაშის შინ გამართვის აკრძალვა გაგვიუქმეთო. კლუბებს ეს სასჯელი გულშემატკივართა ცნობილი შეტაკების გამო დაეკისრათ.

იტალიაშივე მავან გულშემატკივარს „მილანისთვის" შეუთავაზებია, უიმედოდ ტრავმირებულ მარკო ვან ბასტენს ჩემი მუხლები გადაუნერგეთო. კლუბს უარი შეუთვლია, ეთიკური და იურიდიული მოსაზრებებით თქვენს წინადადებას ვერ მივიღებთო.

შვეიცარიაშიც პრობლემა გამხდარა გულშემატკივართა ხულიგნობა. „ბაზელისა" და „ლუცერნის" ქომაგთა შეტაკების შედეგად შვიდი მათგანი ჰოსპიტალში წაუყვანიათ, ერთ გოგონას კი სახის კანის მესამე ხარისხის დამწვრობაც მიუღია.

გერმანია უელსის წინააღმდეგ პირველად ათამაშებს „ფრაიბურგის" ნახევარმცველ იორგ ჰაინრიხს. ევროპის პირველობის შესარჩევი ეს მატჩი 26 აპრილს დიუსელდორფში გაიმართება.

# ინგლისი

პირველობა. 10 აპრილი: **უიმბლდონი — ჩელსი 1:1.** 11 აპრილი: **იფსვიჩი — ქუინზ პარკი 0:1; ტოტენჰემი — მანჩესტერ სიტი 2:1.** 12 აპრილი: **არსენალი — ლივერპული 0:1; ჩელსი — საუთჰემპტონი 0:2; ნორვიჩი — ნოტინგემი 0:1**

ასოციაციის თასის ნახევარფინალის გადათამაშება. 12 აპრილი: **მანჩესტერ იუნაიტედი — კრისტალ პალასი 2:0 (ბირმინგემში)**

## შფოთიანი გადათამაშება

თასის ნახევარფინალის გადათამაშებას დიდი აჟიოტაჟი უძღოდა. კვირის მატჩისწინა შეტაკებებს შეეწირა „კრისტალ პალასის" ქომაგი, 35 წლის პოლ ნიქსონი, რის გამოც ლონდონის კლუბის მეპატრონეებმა, ძმებმა ნოუდზებმა ასოციაციას მოსთხოვეს, გადათამაშება გადავდოთ, ვიდრე ვნებები დაცხრებაო, და დაღუპულის ხსოვნასაც საკადრისი პატივი მივაგოთო. ასოციაციამ არა ქნა. ზომები მიიღო პოლიციამ: სტადიონზე დამატებით 700 პოლიციელი გააგზავნა, 40 ფარული ვიდეოკამერა კი შფოთისთავების გამოსავლენად გამოიყო. „კრისტალ პალასმა" ქომაგებს მოუწოდა, მატჩს ბოიკოტი გამოვუცხადოთო, რის შედეგადაც ბირმინგემის „ვილა პარკზე" მხოლოდ 4000 ლონდონელი შეიკრიბა 15000 მანჩესტერელის ღრიალის გასაბათილებლად.

თამაში ისეთი გამოვიდა, ასოციაცია უარესს რომ ვერ ინატრებდა — ისედაც სახელგატეხილ ინგლისურ ფეხბურთს თავი ამჯერადაც მოეჭრა. მატჩამდე ორივე კლუბის მენეჯერმა საჯაროდ მიმართა და მსწრე ხაზოგადოებრიობას და ურთიერთშეწყნარებისკენ მოუწოდა, მაგრამ ამჯერად მოთამაშეებმა შეირცხვინეს თავი: ერთ მომენტში მანჩესტერელმა კინმა განზრახ დააბიჯა წაქცეულ პატერსონს, ამანაც ხურდა დაუბრუნა და ორივე მოედნიდან გააძევეს. გოლები ბრუსმა და პალისტერმა გაიტანეს, ნიქსონის მკვლელობაში სამი ეჭვმიტანილი კი პოლიციამ თავდებით გაათავისუფლა.

„მანჩესტერი" ჩემპიონი ალბათ ვეღარ გახდება, მაგრამ 20 მაისს „უემბლიზე" ასოციაციის თასის შენარჩუნებას ეცდება „ევერტონის" ხელყოფისაგან. ნახევარფინალში „ტოტენჰემის" ძლევა „ევერტონს" ძვირად დაუჯდა, ვინაიდან მისმა ქომაგებმა მეტოქის ლიდერს — გერმანელ იურგენ კლინსმანს თამაშის დამთავრებისთანავე მუცელში წიხლი ჩააზილეს, მცველმა ენდი ჰინჩკლიფმა კი მეტოქის გულშემატკივრები შეურაცხჰყო. იზარალა „სპურზმაც", ვინაც თასის ამ გათამაშებაში თავის დროზე ჩივილის შემდეგ აღადგინეს — მისი საბაზრო ღირებულება ერთბაშად 5 მილიონი გირვანქით დაეცა.

სხვაფრივ, პირველობაზე ლოკალური მნიშვნელობის ამბები ხდებოდა. „არსენალმა" „ლივერპულთან" შინ წააგო ბოლო წუთზე წლის საუკეთესო ჯეელი მოთამაშის — რობერტ ფაულერისგან გაშვებული გოლით და შეიძლება ისეც მოხდეს, რომ 76 წლის შემდეგ ჩამოქვეითება მოუხდეს. „საუთჰემპტონში" ერთი გოლი მეთიუ ლეტიზიემ შეაგდო და გუნდიც ცხრილში საკმაოდ აღაზევა. მდგომარეობა ერთობ გაიუარესა „ნორვიჩმა", რომლის მენეჯერი ჯონ ლიონი ორშაბათს, 15-თვიანი ზეობის შემდეგ გადადგა. სეზონის ბოლომდე მას მწვრთნელი გერი მეგსონი შეცვლის.

ზემოთ წლის საუკეთესო ჯეელი მოთამაშე რომ ვახსენეთ, ამ კვირაში პროფესიონალ მოთამაშეთა გამოკითხვამ გამოავლინა. კაცებში საუკეთესოდ სცნეს ალან შირერი („ბლექბერნი"). მეორე ადგილზე ლეტიზიე გავიდა, მესამეზე — კლინსმანი. შარშან ამავე რეფერენდუმში ერიკ კანტონამ გაიმარჯვა.

„ლიდსი" ევროპაში გასვლას ლამობს. მის მწვრთნელ ჰოვარდ ვილკინსონს კი თურქეთის „გალათასარაი" ეკურკურება და სამ წელიწადში სამ მილიონ გირვანქას მისცემს, თუკი მწვრთნელობაზე დაიყოლიებს. „ლიდსი" ამის გამო უეფა-ში ჩივის. რაც შეეხება ფიფა-ს, მისი რეკომენდაციისათვის ყური არ უგდია ფეხბურთის ასოციაციას და ირლანდიასთან ჩაშლილი თამაშის მონაწილეებისათვის მაინც მიუნიჭებია სიმბოლური კეპები — ეროვნულ ნაკრებში თამაშის დასტური.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბლექბერნი | 36 | 25 | 7 | 4 | 73-30 | 82 |
| მანჩესტერ იუნ. | 36 | 22 | 8 | 6 | 66-24 | 74 |
| ნოტინგემი | 38 | 19 | 10 | 9 | 65-40 | 67 |
| ნიუკასლი | 36 | 19 | 10 | 7 | 60-37 | 67 |
| ლივერპული | 35 | 18 | 10 | 7 | 58-28 | 64 |
| ლიდსი | 36 | 16 | 11 | 9 | 49-33 | 59 |
| ტოტენჰემი | 35 | 15 | 10 | 10 | 57-47 | 55 |
| ქუინზ პარკი | 36 | 15 | 8 | 13 | 55-52 | 53 |
| უიმბლდონი | 36 | 15 | 7 | 14 | 46-58 | 52 |
| შეფილდ უენ. | 37 | 12 | 10 | 15 | 45-53 | 46 |
| ასტონ ვილა | 36 | 10 | 13 | 13 | 47-48 | 43 |
| არსენალი | 37 | 11 | 10 | 16 | 42-45 | 43 |
| ქოვენთრი | 36 | 10 | 13 | 13 | 37-54 | 43 |
| საუთჰემპტონი | 35 | 9 | 15 | 11 | 51-57 | 42 |
| ჩელსი | 36 | 10 | 12 | 14 | 42-50 | 42 |
| ნორვიჩი | 38 | 10 | 12 | 16 | 34-48 | 42 |
| მანჩესტერ სიტი | 36 | 10 | 11 | 15 | 45-56 | 41 |
| ევერტონი | 35 | 9 | 12 | 14 | 38-48 | 39 |
| კრისტ.პალასი | 34 | 9 | 11 | 14 | 25-35 | 38 |
| ვესტ ჰემი | 35 | 10 | 8 | 17 | 34-45 | 38 |
| ლესტერი | 37 | 5 | 9 | 23 | 40-71 | 24 |
| იფსვიჩი | 36 | 6 | 5 | 25 | 31-81 | 23 |

# რუსეთი

II ტური. 8 აპრილი. **დინამო (მ) — ლოკომოტივი (მ) 2:1, ცსკა — ტორპედო 2:1, კამაზი — ვლადიკავკაზი 1:0, დინამო-გაზოვიკი — როსტსელმაში 2:0, კრილია სოვეტოვი — ჟემჩუჟინა 0:0, ლოკომოტივი (ნ.ნ.) — ჩერნომორეცი 0:1, ურალმაში — როტორი 5:0, ტექსტილშჩიკი — სპარტაკი 2:2.**

## უიღბლო ჯენტლმენები

პირველი ტურისგან განსხვავებით, მეორე ტური რუსეთში მოთამაშე ქართველთათვის უიღბლო გამოდგა.

მამუკა მინაშვილის „კრილია სოვეტოვის" გარდა, იმ გუნდთაგან, რომლებშიც ჩვენები თამაშობენ, ქულა ვერავინ მოიპოვა. სოჭელებს სამარაში „კავკასიური ტრიო" უტევდა: მინაშვილი, სომეხი ავალიანი და ადგილობრივი წიკლაური. ქართველებმა თითოჯერ გაარტყეს ხარიხას, 32 წლის სომეხმა კი სოჭელი მეკარის კრიუკოვის მოგერიებულ პენალტს მიუსწრო, თუმცა ისევ მეკარემ იჟუკაცა და მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზიც მოიპოვა (7,5 ქულა). ეს მისი მეცხრე პენალტი გახლდათ, რომელთაგან ოთხი მოუგერიებია. ფახრუტდინოვი კი, მინაშვილი რომ შეცვალა 85-ე წუთზე და სამ წუთში პენალტიც დაარტყა, უკვე მეორედ ვერ იტანს.

ნაბერეჟნიე ჩელნიში კი ვლადიკავკაზის „სპარტაკი" ტრადიციულად აგებს. ამჯერად ევდოკიმოვს ხაპოვის შეცდომის წყალობით გაუტანია ერთადერთი გოლი. კვლავ უჟუკაცია შელიას (ყველა საჰაერო ბრძოლა მოუგია), მაგრამ რევიშვილის არყოფნამ „სპარტაკს" საერთო უპირატესობის რეალიზება გაუძნელა. ომარ თეთრაძეს გაზეთ „სპორტ-ექსპრესისგან" ყველაზე მაღალი შეფასება — 6,5 დაუმსახურებია. თანაც რუსეთის ყველაზე ჯენტლმენი მოთამაშის სახელიც დაუგდია — 82 თამაშია, ყვითელი ბარათი რაა, არ იცის. წინა ტურისგან განსხვავებით, როცა შელიაც და რევიშვილიც ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდნენ, მეორე ტურის რჩეულებში არცერთი ქართული გვარი არ გვხვდება. გაზაევს ჟურნალისტებისთვის განუცხადებია, მოსკოველი მსაჯი ვერგოპულო დიდად დაეხმარა ჩვენს მეტოქეს, ორი უეჭველი პენალტი არ დანიშნაო. ვერც დევაძის „როსტსელმაშმა" ივარგა, თუმცა აკაკიმ სასწაულით მოიგერია უძნელესი ბურთი, მაგრამ დაცვას, ეტყობა, „ეძინა" და გერასიმოვს მაინც გაატანინეს პირველი გოლი. მეორე ბურთი კი პენალტით გასულა.

ცსკა-მ ჯერ გოლი კი მიიღო, მაგრამ ერთი საათის შემდეგ შეცვლაზე გამოყვანილი კარსაკოვის და გერასიმოვის ბურთებმა არმიელები პირველად დააყენა რუსეთის ჩემპიონატში პირველ ადგილზე. რაც შეეხება „სპარტაკს", ამანაც პირველად დათმო ლიდერობა, რაც 52 ტურია, არ მომხდარა. წაგებასაც უკანასკნელ წუთებზე გადარჩენილან რუსეთის უცვლელი ჩემპიონები: კამიშინში შეცვლაზე გამოსულმა კონოვალოვმა მატჩის დამთავრებამდე 80 წამით ადრე გადაარჩინა ქულა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 1 | 0 | 7-3 | 4 |
| ურალმაში | 2 | 1 | 0 | 1 | 6-5 | 3 |
| გაზოვიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| ვლადიკავკაზი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| ტორპედო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| როსტსელმაში | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| ჩერნომორეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| კამაზი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| ნიჟ. ნოვგოროდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| კრ. სოვეტოვი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| ჟემჩუჟინა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| ტექსტილშჩიკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| როტორი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-6 | 1 |

# „ნაიკი" ზამერის ოფლმა შეაწუხა



სასიამოვნო საფეხბურთო საღამოს მომლოდინე როლფ დომენი, ფირმა „ნაიკის" წარმომადგენელი გერმანიაში, განცხრომით მოკალათდა ვესტფალენის სტადიონის მისთვის დაჯავშნულ ადგილზე. მოლოდინმა თითქოს არც უმტყუნა — იმ დღეს, 14 მარტს, დორტმუნის „ბორუსიამ", რომელსაც „ნაიკი" სპონსორობს, რომის „ლაციო" 2:0 დაამარცხა და უეფა-ს თასის ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ დომენს საღამო მაინც ჩაუმწარდა: „მე 30 კილომეტრიდან შემიძლია გავარჩიო, ვის რომელი ფირმის ბუცი აცვია" — ამბობს იგი. აი, სწორედ ამან გაუფუჭა ხასიათი: მის ჭორებს თვალებს არ გამოპარვიათ, რომ 6 ნომრით მოთამაშე დორტმუნდელ მათიას ზამერს ფეხზე კონკურენტი ფირმის, „ადიდასის" ბუცები ეცვა, ოღონდაც მათზე „ნაიკის" „ამოსაცნობი ნიშნები" ჰქონდა მიკრებული. ზამერი გამონაკლისი სულაც არ გახლავთ — ასეთი რამ ახლა არცთუ იშვიათია: შეჩვეულ და კარგად მორგებულ სხვა ფირმის ბუცებს ფეხბურთელები ახალი სპონსორის იარლიყებს აკრავენ.

„ნაიკი" დორტმუნდის „ბორუსიას" ყოველწლიურად 2,8 მილიონ მარკას უხდის იმ პირობით, რომ ფეხბურთელები თხემით ტერფამდე „ნაიკის" ფორმით შეიმოსებიან. ამაზე ყველა მოთამაშე ყაბულსაა, ზამერის გარდა. ამის მიზეზი შეიძლება იყო მისი კონტრაქტი „ადიდასთან", რომლის მეშვეობითაც იგი ყოველწლიურად ნახევარ მილიონ მარკას იჯიბავს.

„ნაიკი" გამონაკლისს არავისთვის დაუშვებს. მატჩის მეორე დღეს დომენი ესაუბრა დორტმუნდელთა მენეჯერს და კლუბის ნაკისრი ვალდებულება შეახსენა: „ყველა ფეხბურთელს, არათუ თამაშზე, ვარჯიშზეც „ნაიკის" ბუცები უნდა ეცვას. ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში დამნაშავე ფეხბურთელმა 100 000 მარკა უნდა გადაიხადოს. ჩვენ ასეთ მკაცრ ზომებს არ მივმართავთ, ეს ჩვენ სტრატეგიულ გეგმაში არ შედის," — განაცხადა დომენმა.

კლუბის მენეჯერმა ვერაფერი შეასმინა თავნება ზამერს. იგი ვარჯიშზე კვლავ გამოცხადდა „ადიდასის" ბუცებით „კოპა მონდიალით", რომლებზეც სამი თეთრი ზოლის დასაფარად შავი ფერის კრემი წაესვა. ლევერკუზენთან მატჩშიც მას კვლავ „ადიდასი" ეცვა.

თამაშის შემდეგ გასახდელში ზამერმა დომენს განუცხადა: „მე „ადიდასი" მირჩევნია, რადგან თქვენს ბუცებში ფეხი მიოფლიანდება". „ეს პრობლემა მე არ მაღელვებს" — მიუგო დომენმა. „ნაიკის" წარმომადგენლის ამ რეპლიკამ ზამერი დიდად აღაშფოთა: „მე მანამდე ვატარებ „ადიდასს", სანამ „ნაიკი" კეთილს არ ინებებს და საგანგებოდ არ შემიკერავს ფეხსაცმელს, რომელიც მე დამაკმაყოფილებს." როლფ დომენის აზრით, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია — „ზამერს ყოველგვარი წინაპირობის გარეშე „ნაიკი" უნდა ეცვას" — აცხადებს იგი.

როლფ დომენი ამერიკული კონცერნის კონცეფციას ასე განმარტავს: „ჩვენ ხუთი წელი ვითმენდით იმას, რომ ფეხბურთელებს სხვა ფირმის ბუცები ეცვათ, არადა, ჩვენი ნაწარმი არაფრით ჩამოუვარდება „ადიდასისას". ახლა არანაირი მიზეზი აღარ არსებობს, ფეხბურთელმა „ნაიკით" რომ არ ითამაშოს".

ზამერი არ დაეთანხმა ამ აზრს: „ნაიკით" კარგად ვერ ვთამაშობ. მე ოფლიანი ფეხი მაქვს, ოფლი კი ტყავს არბილებს და ბუცები იბრიცება. სულ სხვაა „ადიდასი", ის გამძლე და მაგარი ტყავისაგანაა შეკერილი, თანაც მთელი ცხოვრება ამ ფირმის ბუცებით ვთამაშობ. მოკლედ, მე „ნაიკს" საგანგებოდ ჩემთვის შეკერილ ფეხსაცმელს დაველოდები."

დომენი ზამერის ნათქვამმა ძლიერ გააოცა: ჩვენ გვაქვს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხსაცმლის ლაბორატორია. ზამერს ისეთ ბუცებს შევუკერავთ, როგორიც მას მოეწონება."

ამ აყალმაყალში თანდათან ზამერის არაერთი თანგუნდელიც ჩაერია და არც დაუფარავთ თავიანთი განაწყენების მიზეზი: ნეტა რატომ ეჟერებით ამდენს ამ ჩვენ ჭირვეულ ლიბეროსო. საქმე ის გახლავთ, რომ ბევრი მათგანი სწორედ „ნაიკის" მსხვერპლად თვლის თავს. რიდლე, მაგალითად, იძულებული იყო შეეწყვიტა კონტრაქტი „დიადორასთან", როიტერი კი „სევენ ლაინს" დაშორდა.

კლუბმა უნდა დაარწმუნოს ზამერი, რომ ვალდებულია ჩაიცვას „ნაიკის" ბუცები, თორემ ამერიკელთა მოთმინებასაც საზღვარი აქვს და ვინძლო ფეხბურთელს 100 000 მარკის გადახდამაც მოუწიოს. ბუნდესლიგის კლუბების სპონსორები ხომ უმოწყალოდ სჯიან პირის გამტეხთ.

ფრანკფურტის „აინტრახტმა" ორჯერ იწვნია მფარველთა რისხვა. პირველად 1987 წელს, როცა კლუბმა „ადიდასს" „პუმა" არჩია — სანამ პირველთან კონტრაქტი გაუთავდებოდა, „აინტრახტის" იმჟამინდელი პრეზიდენტი კლაუს გრამლიხი ტელეეკრანზე „პუმას" ფეხსაცმლის ყუთით გამოჩნდა, რის გამოც „ადიდასმა" კლუბს 57 000 მარკა შეაწერა.

თავის მხრივ „პუმამაც" დასაჯა ფრანკფურტელები 60 000 მარკით. მიზეზი ის იყო, რომ ანდრეას მიოლერი „ნაიკის" ბუცებით თამაშობდა, რომელთანაც კერძო კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული.

ერეკლე კიკილაშვილი

„შპორტ ბილდის". მიხედვით

## ავსტრია

XXVI ტური. 11-12 აპრილი. **ადმირა — ავსტრია 2:1, შტურმი — ფორვერტსი 1:0, რაპიდი — მიოდლინგი 2:1, კაზინო — ტიროლი 1:1, ლინცერი — ლინცი 3:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაზინო | 26 | 10 | 14 | 2 | 36-18 | 34 |
| რაპიდი | 26 | 13 | 6 | 7 | 44-40 | 32 |
| ავსტრია | 26 | 10 | 10 | 6 | 37-26 | 30 |
| ლინცერი | 26 | 10 | 10 | 6 | 33-24 | 30 |
| შტურმი | 26 | 11 | 8 | 7 | 33-32 | 30 |
| ტიროლი | 26 | 11 | 6 | 9 | 42-34 | 28 |
| ფორვერტსი | 26 | 7 | 9 | 10 | 35-37 | 23 |
| ადმირა | 26 | 7 | 9 | 10 | 38-44 | 23 |
| ლინცი | 26 | 5 | 9 | 12 | 29-50 | 19 |
| მიოდლინგი | 26 | 3 | 5 | 18 | 22-44 | 11 |

## შვეიცარია

ფინალური ეტაპი. VI ტური. 12 აპრილი. **არაუ — ქსამაქსი 1:1, ბაზელი — ლოზანა 5:0, ლუგანო — ლუცერნი 0:0, სიონი — გრასჰოპერსი 1:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერსი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-5 | 25 |
| ლუგანო | 5 | 1 | 3 | 1 | 4-5 | 18 |
| ბაზელი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-3 | 18 |
| სიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 17 |
| არაუ | 6 | 1 | 2 | 3 | 5-7 | 17 |
| ლუცერნი | 6 | 3 | 1 | 2 | 6-7 | 17 |
| ქსამაქსი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-5 | 16 |
| ლოზანა | 6 | 1 | 0 | 5 | 6-14 | 14 |

გუნდებს ემატებათ წინასწარ ეტაპზე დაგროვილი ქულები

# ნაბოდვარად ქცეული თეორიები

## ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. „ოთხთა ფინალი". სარაგოსა

ნახევარფინალი. 11 აპრილი

რეალ-მადრიდი (ესპანეთი) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 62:49 (29:17)

რეალი: ანტუნესი (8), გარსია კოლი (2), სანტოსი (7), არლაუსკასი (12), საბონისი (21); ბირიუკოვი, ლასა (5), კარგოლი (3), მარტინი (4)

ლიმოჟი: ფორტე (5), ვეროვი (2), იანგი (9), ბილბა (4), კემფტონი (10); დაკური (2), მ'ბაია (7), აბას სი (10).

„მაიკლ იანგის შეჩერება და „ლიმოჟის" დამარცხება ერთი იქნებოდა. ეს კარგად ვიცოდი და ისმაელ ხანტოსს ამერიკელის დაკეტვა მოვთხოვე. ისმაელმა ეს შეძლო" — განაცხადა მატჩის დამთავრებისთანავე „რეალის" მწვრთნელმა ზელკო ობრადოვიჩმა და კმაყოფილება ფრიად ხმაურიანი და ალალი ხარხარით გამოხატა. აქვს კიდეც ამის მიზეზი: ფინალში გავიდა, შესაძლოა ოთხ წელიწადში მესამე ევროპის ჩემპიონობას გამოკრას ხელი (1992 — „პარტიზანი", 1994 — „ხუვენტუდი"), საკლუბო მწვრთნელთაგან უპირველეს „მტერს", თანამემამულე ბოჟიდარ მალიკოვიჩსაც აგერ მერამდენედ აჯობა და მისი იდეების მცდარობაც დაუმტკიცა. რაც არანაკლებ მთავარია, მეტოქის სამარცხვინოდ ცოტა ქულა გააკეთებინა, ეს კი ევროპულ კალათბურთში უპირველეს მიღწევად ითვლება.

ისე, „ლიმოჟს" თავად აქვს „გაუვალი დაცვის" მქონე გუნდის რეპუტაცია. მისი მწვრთნელის მალიკოვიჩის ნაქადაგები ზონური დაცვის მოდერნიზებული თეორია კი ცოტა ხნის წინ ისეთივე გადატრიალება იყო კონტინენტურ კალათბურთში, როგორც თავის დროზე „შვეიცარიული ბოქლომი" და „კატენაჩიო" ფეხბურთში. დღეს მთელი ევროპა მალიკოვიჩის დაცვით თამაშობს, მაგრამ ობრადოვიჩმა ისე გააკეთა, რომ თეორია ნაბოდვარად აქცია.

თავად რომ ფარქვეშ შესვლა გაჭირდებოდა, ამის ცოდნას დიდი გენიოსობა არ უნდოდა. ამიტომ ობრადოვიჩი ხშირ-ხშირად სთხოვდა ცენტრს არვიდას საბონისს ზემოთ ამოწევს, ბლოკების დაყენებას, რითაც დანარჩენებს სამქულიანების სასროლად პოზიციის დაკავება უიოლდებოდათ. ანტუნესმა და სანტოსმა თავიდანვე ივარგეს, შემდეგ ორჯერ საბონისმაც იგივე გააკეთა და „რეალი" უცბად დაწინაურდა. ზელკომ წამსვე შეცვალა ტაქტიკა — ამერიკელ ჯო არლაუსკას და იგივე საბონისს



ჯო არლაუსკასი

ორმაგი ბლოკები დააყენებინა — ამით უკანა ხაზს გარღვევების საშუალება მიეცა. ამ ხერხით რაც ჩავარდებოდა, ხომ კარგი, რაც არა და — ლიტველი და ამერიკელი ბურთების დიდ ნაწილს ხსნიდნენ და ამატებდნენ. დაცვაში სანტოსი იანგს აედევნა, გარსია კოლი — ბილბას. მათ გარეშე ამერიკელი ექს-პროფესიონალი ტიმ კემფტონი იძულებული გახდა თავად ეკეთებინა ყველაფერი. ერთხანს გაუვიდა, მაგრამ შემდეგ არლაუსკასმა აღარ აბოგინა.

სანტოსს და გარსია კოლს ძვირად დაუჯდათ მეტოქის ლიდერებთან გამკლავება — იმათ კი არაფერი გააკეთებინეს, მაგრამ თავად მალე 4-4 პერსონალური მიიღეს. სამი ჯარიმა ჰქონდა ანტუნესს. მეორე ტაიმში ესპანელებმა გამთამაშებლად გამოიყვანეს ხოსე ლასა, რომელმაც 21 წლის მიუხედავად, კარგად გამოცდილი მოთამაშესავით დაუნგრია დაცვა ფრანგებს (აქვე შევნიშნავთ, რომ „ლიმოჟის" მოედანზე გამოსული 8 კალათბურთელიდან ორი ამერიკელი იყო, ორი — აფრიკული და ორიც — არაბული წარმოშობის ფრანგები). ესენი ისე აირივნენ, რომ რამდენჯერმე უაზროდ გადააგდეს ბურთი აუტში, რამდენჯერმე კი მეტოქეს პირდაპირ ხელებში მიართვეს.

დამთავრებამდე 9 წუთით ადრე ლიკურიმ შემთხვევით პანღური ამოკრა საბონისს — ლიტველი ოთხზე დადგა და ხოხვახოხვით ძლივს გავიდა მოედნიდან. მალიკოვიჩი ამან გამოაცლცხლა და ახალშემოსული ანტონიო მარტინის წინააღმდეგ მ'ბაია გაიყვანა. ლიმოჟელმა დაჩაგრა ესპანეთის ნაკრების ცენტრი და მეტსაც უზამდა, არლაუსკასს რომ არ ემარჯვა — ჯო დროულად გადიოდა დაზღვევაზე, მარტინის გაფუჭებულ საქმეს გულმოდგინედ ასწორებდა და მატჩში 10 მოხსნაც დაიგროვა. მარტინს კი, ეტყობა, თამაში არ უნდოდა — განდეგილივით განმარტოვდებოდა ხოლმე და დამკვირვებლის სტატუსით კმაყოფილდება. არა მგონია, „რეალის" ვინმე ძირძველ გულშემატკივარს იმ სალამოს არ ეთქვას: მაშ, შენი ძმა ფერნანდო მიწაში უნდა იწვეს, შენ კი მოედანზე დაიოდეო, მაგრამ სხვა გზა არ იყო — მადრიდელებს სხვა ცენტრი არა ჰყავთ. ამის მიუხედავად, „რეალი" 21 ქულას იგებდა (53:32). ვალმოხდილი სანტოსი და გარსია კოლი გავარდნენ, „ლიმოჟში" კი აბას სი გამოჩნდა. ეს ზანგი რომ არ ყოფილიყო, საეჭვოა, ფრანგებს 40-ზე მეტი ქულა დაეგროვებინათ: რაღაც სამ წუთში მან ორ-ორი სამქულიანი და ორქულიანი ჩააგდო, რითაც სხვაობა 9 ქულამდე შემცირდა. თუმცაღა, ყველა ხვდებოდა, რომ აბას სი მხოლოდ პრესტიჟის საქმეს აკეთებდა: „რეალი" უკვე ფინალში იყო და ბოლო წუთებზე ჩვენი პაატა გურასპაულის ძმაკაცი ხოსე ბირიუკოვი ათამაშა. მადრიდელთა კაპიტნმა კი ყველაზე დასამახსოვრებელი ის გააკეთა, რომ ბურთის მოხსნისას, თავის თანატოლ საბონისის მსგავსად, იმისთანა დაიღრიალა, 14-ათასიან დარბაზში გახარებულ ესპანელთა წივილ-კივილიც კი გადაფარა.

ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) — პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) 58:52 (27:29)

ოლიმპიაკოსი: ტომიჩი (5), სიგალასი (10), ჯონსონი (27), ვოლკოვი (4), ფასულასი (6); ტარლაცი (5), ნაკიჩი, ზაკაციასი (1)

პანათინაიკოსი: იანაკისი (3), ალვერტისი (3), პასპალი (17), პეცარსკი (3), ვრანკოვიჩი (12); პატავუკასი (2), ეკონომუ (12)

ეს მატჩი „რეალ" — „ლიმოჟის" დამთავრებიდან 20 წუთის შემდეგ დაიწყო იმავე დარბაზში. გასაკვირია, როგორ მოახერხეს ამ ხანში ფრანკო-ესპანელმა მაყურებლებმა დარბაზიდან გასვლა, ბერძნებმა კი იქაურობის შევსება. წითლებში გამოწყობილმა „ოლიმპიაკოსის" ფანებმა ერთი პრესტიჟული ტრიბუნა შეავსეს, მწვანემოსილმა პანათინაიკოსელებმა — მეორე. ერთი სიტყვით, თავი სარაგოსაში კი არა, სადმე ათენი — პირეოსის გზაგასაყარზე გეგონებოდა.

ბერძნული კალათბურთის ფლაგმანების მატჩში მოედანზე სულ 15 კალათბურთელი გამოვიდა. ამათგან ბერძენი იყო შვიდი. დანარჩენები გახლდნენ 4 ხორვატი (ერთი ნაღდი, სამი — გაბერძნებული), 2 იუგოსლავიელი (ერთი ნაღდი) და თითოც ალალი ამერიკელი და გარუსებული უკრაინელი. უცხოელებმა 73 ქულა გააკეთეს, ზუსტად ორჯერ მეტი, ვიდრე ბერძნებმა „წითლებსაც" ამერიკელმა მოაგებინა, „მწვანეებს" იუგოსლავიელმა წააგებინა — ეს ბერძნები რაღაცა შუაში იყვნენ, გაუგებარია.

„პანათინაიკოსის" სასტარტო ხუთეული საშუალოდ 3 სანტიმეტრით მაღალი იყო მეტოქისაზე. სამაგიეროდ, გაცილებით ბებერიც. 38 წლის ნიკოს გალისმა, როგორც იქნა, კალათბურთს თავი დაანება, მის ნაცვლად კი 35 წლის პანიოტის იანაკისი მოიწვიეს. მეექვსე კაცადაც მიხრწნილი კოსტას პატავუკასი ჰყავდათ. ჯეელი ეკონომუ კი გვიან შემოიყვანეს და იქნებ ამან დაღუპათ კიდეც. ათენელთა მწვრთნელმა ეფტიმის კუმერცოლლუმ, ქალაქელი ბუფეტჩიკივით ჩასუქებულმა, გულ-ბოყვამდე საყელოჩახსნილმა და მკლავებკაპიწებულმა მეხუთე წუთზე გამოცვალა პეცარსკი, რითაც ჟარკო პასპალს ბურთის ფლობის შეუზღუდავი უფლება მიეცა. მას ყველაფრის გაკეთება მოუნდა: გათამაშების, გარღვევის, სამქულიანის...



სტოიან ვრანკოვიჩი ბურთს მხოლოდ ამ ხერხით თუ ჩააგდებდა

სროლას ხომ არავის ანებებდა, 17 ქულა კი გააკეთა, მაგრამ იმდენი გააფუჭა, ნახევარიც რომ გამოეყენებინა, 37-ს დააგროვებდა. თუ ბედად აზლო-მახლო სტოიან ვარანკოვიჩი გაჩნდებოდა, პასპალის აცდენილ ბურთს აუცილებლად ჩატენვით ამატებდა. სამაგიეროდ, 217 სანტიმეტრიანმა კი არა, მეტრანახევრიანმაც რომ უნდა ჩააგდოს, ისეთი „საკუთარი ბურთები" ხან რგოლს გაარტყა, ხან ბადეს და ბოლოს „მალაკოც" მიითვალა. დაცვაში კი რიგიანად გამოიყურებოდა (15 მოხსნა, 6 დაფარება) და პირველი ტაიმის შუაში პირეოსელი ცენტრი ფასულასი სკამისკენ გაისტუმრა. „ოლიმპიაკოსმა" კი მთელი ძალები დაცვაში გადმოისროლა (ერთხანს ვოლკოვი და ტარლაცი ორივე ცენტრებად დააყენა), ხოლო შეტევაში 35 წლის ედი ჯონსონის იმედზე დარჩა. ამერიკელმაც ჩააგდო და ჩააგდო. მოკლედ, იყო ერთი ამბავი — აქედან ჯონსონი, იქიდან — პასპალი.

ასე გრძელდებოდა მეორე ტაიმის დახლებით შუამდე. ერთხანს პასპალს სროლა წაუვიდა, ვრანკოვიჩი მთლად დაღლილი არ იყო, ხოლო ეკონომუმ გონივრულად ითამაშა — „პანათიანაიკოსი" 45:38 დაწინაურდა. ჯონსონმა და სიგალასმა იფიქრეს, ჩვენების ყურება ფინალს მიღმა დაგვტოვებსო და აჩალიჩდნენ, 1,55 წუთში ამერიკელმა ორი სამქულიანი ჩააგდო, ხოლო ბერძენმა ორ ქულას ერთი საჯარიმოც დაუმატა. „წითლებმა" ეს მონაკვეთი 9:1 მოიგეს და შემდეგ, დამთავრებამდე 3 წუთით ადრე, პირველად დაუთმეს მეტოქეს ინიციატივა: ეკონომუმ ათენელები დააწინაურა — 52:50. ამ დროს იანის იოანიდისმა, „ოლიმპიაკოსის" ცბიერმა მწვრთნელმა ფასულასი დააბრუნა მოედანზე პანაიოტისმა სირენამდე 1,52 ადრე მოხსნილი ბურთი გადაუგდო ჯონსონს: 13-წლიანი **NBA**-ის სკოლაგამოვლილმა სამქულიანი ჩააგდო. მომდევნო შეტევაში ფასულასმა ხეირიანი ბლოკი დაუყენა ტომიჩს — კვლავ სამი ქულა. ბოლოს კი ალვერტისმა ლამის ხელი მოტეხა სიგალასს, მან კი ბოლმაზე ორივე საჯარიმო ჩააგდო და შეუერთდა ფინალში გასვლის გამო მოზეიმე დანარჩენ ოლიმპიაკოსელებს.

ანტონ ერისთავი

ფინალი „რეალი" — „ოლიმპიაკოსი" გუშინ გვიან ღამით დამთავრდა.

## საქართველოს ჩემპიონატი

### VII-X ადგილები

ვერის ბაღი

ორშაბათი, 10 აპრილი

გეორგიკა — ქუთაისი 108:94

გეორგიკა: გორგაძე, მერკვილაძე (33), ჭეიშვილი (28), ძიძიგური (24), ჩაჩხიანი (17), ახობაძე, გაჩეჩილაძე (6)

ქუთაისი: დევიძე (17), ბერეკაშვილი (32), თურქაძე (18), ქათამაძე (16), სამხარაძე, გუმბერიძე (9), ჭეიშვილი (2).

თსუ — შევარდენი 80:69

თსუ: კაზანჯიანი (22), ნიკოლაძე (17), დოლმაზაშვილი (10), არსიაშვილი (11), წოწელია (16), მეჭურჭლიშვილი, ლევინიანიძე (4)

შევარდენი: ინაძე (9), მაჭავარიანი (30), ფიოდოროვი (13), ესიტაშვილი (7), თაბუაშვილი (4), ისაკაძე (6), დავარაშვილი, ლევინეფაძე

სამშაბათი, 11 აპრილი

ქუთაისი — შევარდენი 100:92

ქუთაისი: დევიძე (30), ბერეკაშვილი (25), გუმბერიძე (27), თურქაძე (5), ქათამაძე (12), სამხარაძე (1)

შევარდენი: ისაკაძე (34), მაჭავარიანი (20), ინაძე (16), ფიოდოროვი (7), ესიტაშვილი (12), ლევინეფაძე (2), თაბუაშვილი (1).

თსუ — გეორგიკა 83:76

თსუ: მეჭურჭლიშვილი, ლევინიანიძე (7), კაზანჯიანი (15), ნიკოლაძე (10), დოლმაზაშვილი (8), არსიაშვილი (15), ბაბიაშვილი (2), წოწელია (26)

გეორგიკა: გაჩეჩილაძე (4), გორგაძე, მერკვილაძე (15), ჭეიშვილი (26), ახობაძე, ძიძიგური (21), ჩაჩხიანი (10).

სპორტის სასახლე

ოთხშაბათი, 12 აპრილი

ქუთაისი — თსუ 98:82

ქუთაისი: ჭეიშვილი (2), დევიძე (21), ბერეკაშვილი (25), გუმბერიძე (13), თურქაძე (23), ქათამაძე (14)

თსუ: მეჭურჭლიშვილი (8), ლევინიანიძე (14), ნიკოლაძე (16), დოლმაზაშვილი (6), არსიაშვილი (8), წოწელია (30), სულავა.

ხუთშაბათი, 13 აპრილი

გეორგიკა — შევარდენი 73:67

გეორგიკა: გაჩეჩილაძე (4), გორგაძე, მერკვილაძე (20), ჭეიშვილი (18), ახობაძე (1), ძიძიგური (18), კობიძე (4), ჩაჩხიანი (6), დოლიძე (2)

შევარდენი: ისაკაძე (3), მაჭავარიანი (25), დავარაშვილი (7), ფიოდოროვი (4), ინაძე (3), ესიტაშვილი (3), ლევინეფაძე (16), თაბუაშვილი (6)

საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ქუთაისი | 24 | 11 | 13 | 1756-2040 | 35 |
| თსუ | 24 | 9 | 15 | 1774-1994 | 33 |
| შევარდენი | 24 | 3 | 21 | 1555-2010 | 27 |
| გეორგიკა | 24 | 2 | 22 | 1672-2159 | 26 |

ბომბარდირები

(ქულა, თამაში, საშუალოდ)

| | | | |
|---|---|---|---|
| ბერეკაშვილი (ქუთაისი) | 182 | 6 | 30,3 |
| წოწელია (თსუ) | 156 | 6 | 26,0 |
| მაჭავარიანი (შევარდ.) | 142 | 6 | 23,6 |
| ჭეიშვილი (გეორგიკა) | 133 | 6 | 22,1 |
| დევიძე (ქუთაისი) | 115 | 6 | 19,1 |
| ძიძიგური (გეორგიკა) | 107 | 6 | 17,8 |
| მერკვილაძე (გეორგიკა) | 104 | 6 | 17,3 |

სამქულიანები

მაჭავარიანი (შევარდენი) — 19
ისაკაძე (შევარდენი) — 18
თურქაძე (ქუთაისი) — 16
ინაძე (შევარდენი) — 14
დევიძე (ქუთაისი) — 12

საჯარიმოები

(ნასროლი, ჩაგდებული)

| | | | |
|---|---|---|---|
| დევიძე (ქუთაისი) | 32 | 27 | 84,3 |
| თურქაძე (ქუთაისი) | 22 | 18 | 81,8 |
| ბერეკაშვილი (ქუთაისი) | 60 | 46 | 76,6 |
| წოწელია (თსუ) | 37 | 25 | 67,5 |
| დოლმაზაშვილი (თსუ) | 26 | 17 | 65,5 |

### ექვსეული

სპორტის სასახლე

ოთხშაბათი, 12 აპრილი

ვითა — მერანი 149:72

ვითა: ბაქრაძე (18), ტურაშვილი (8), სანაძე (7), ჩერქეზიშვილი (6), გურასპაული (21), ბეჟანიშვილი (11), ჩუბინიძე (10), ორმოცაძე (9)

მერანი: უძილაური (17), მაჩალაძე (5), გიგაური (9), ბარბაქაძე (4), ი. ბერიშვილი (2), დ. ბერიშვილი (9), გაბრიჩიძე (4), შველიძე (12), ნაცვლიშვილი (13)

კაქტუსი — აზოტი 98:73

კაქტუსი: თორთლაძე (11), აბულაძე (3), ულენტი, ხოშტარია (20), მაჭარაძე (4), გ. ნაცვლიშვილი (3), ოთიურიძე (12), აბრამიძე (4), ვ. ნაცვლიშვილი (23), ჩხეიძე (11), ახალკაცი (7)

აზოტი: მიროტაძე (1), კიკვიძე (6), გოგოლაძე (2), მჭედლიძე (5), ხაიაური (11), გონაშვილი (7), ქობულაძე (28), კეჭაყმაძე (11), წიკლაური (2)

დინამო — თორსი 92:65

დინამო: ცხვედიანი (14), ზ. ცაგარეიშვილი (14), ვაშაკიძე (6), დარსაძე (21), გოგუა (5), კილაძე (18), ქარაბაკი (9), დავითულიანი (5)

თორსი: თ. ცაგარეიშვილი, ლომიძე (2), სპარსიაშვილი (13), ლომთაძე (7), ორჯონიკიძე (7), ჩხეიძე (19), ხარაძე (4), ლუდუშაური (3)

ხუთშაბათი, 13 აპრილი

კაქტუსი — თორსი 127:90

კაქტუსი: თორთლაძე (15), აბულაძე (14), ხოშტარია (4), მაჭარაძე (12), გ. ნაცვლიშვილი (2), ოთიურიძე (25), აბრამიძე (2), ვ. ნაცვლიშვილი (26), ჩხეიძე (2), ახალკაცი (25)

თორსი: ლომიძე (20), სპარსიაშვილი (29), ლომთაძე (17), ორჯონიკიძე (7), მიქაძე (17)

დინამო — მერანი 89:71

დინამო: ცხვედიანი (7), ცაგარეიშვილი (17), ვაშაკიძე (13), დარსაძე (23), გოგუა (2), ქარაბაკი (18), კილაძე (6), დავითულიანი (3)

მერანი: უძილაური (21), მაჩალაძე (8), გიგაური (12), ი. ბერიშვილი (2), დ. ბერიშვილი (4), გაბრიჩიძე (7), შველიძე (9), ნაცვლიშვილი (8)

ვითა — აზოტი 113:71

ვითა: ბაქრაძე (9), ტურაშვილი (2), ჩერქეზიშვილი (22), გურასპაული (10), ბეჟანიშვილი (13), დადიანი (26), კოკოლიშვილი (9), ჩუბინიძე (12), ორმოცაძე (10)

აზოტი: მიროტაძე, კიკვიძე (9), გოგოლაძე (9), მჭედლიძე (6), ხაიაური (16), გონაშვილი (9), ქობულაძე (12), კეჭაყმაძე (10)

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| კაქტუსი | 25 | 25 | 0 | 2477-1651 | 50 |
| ვითა | 25 | 21 | 4 | 2599-1705 | 46 |
| დინამო | 25 | 20 | 5 | 2309-1803 | 45 |
| მერანი | 25 | 11 | 14 | 1852-1988 | 36 |
| თორსი | 25 | 11 | 14 | 1645-2020 | 36 |
| აზოტი | 25 | 10 | 15 | 1746-1991 | 34 |

ბომბარდირები

(ქულა, თამაში, საშუალოდ)

| | | | |
|---|---|---|---|
| ბერდია ქობულაძე (აზოტი) | 168 | 7 | 24,0 |
| ლევან ქარაბაკი (დინამო) | 144 | 6 | 24,0 |
| დუდუ დადიანი (ვითა) | 148 | 7 | 21,1 |
| ვასილ ოთიურიძე (კაქტუსი) | 141 | 7 | 20,1 |
| დავით თორთლაძე (კაქტუსი) | 134 | 7 | 19,1 |
| შოთა უძილაური (მერანი) | 132 | 7 | 18,8 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი (კაქტუსი) | 111 | 6 | 18,5 |
| დავით სპარსიაშვილი (თორსი) | 109 | 7 | 15,5 |
| მერაბ ნაცვლიშვილი (მერანი) | 101 | 7 | 14,4 |

სამქულიანები

დავით თორთლაძე (კაქტუსი) — 26
გია ჩხეიძე (თორსი) — 18
გია სანაძე (ვითა) — 15
ნიკო ჩერქეზიშვილი (ვითა) — 15
ზაზა ცაგარეიშვილი (დინამო) — 14

საჯარიმოები

(ნასროლი, ჩაგდებული,%)

| | | | |
|---|---|---|---|
| ვლ. ბეჟანიშვილი (ვითა) | 14 | 13 | 92,8 |
| ლევან ქარაბაკი (დინ.) | 19 | 16 | 84,2 |
| დავით თორთლაძე (კაქ.) | 19 | 16 | 84,2 |
| თამაზ გიგაური (მერ.) | 18 | 15 | 83,3 |
| შოთა უძილაური (მერ.) | 18 | 14 | 77,7 |

გამოვიდა მერაბ რატიშვილის მიერ შედგენილი წიგნი „ამერიკული კალათბურთი 1994", რომელიც უფრო ახლოს გაგვაცნობს ამერიკის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას. წიგნის ყიდვა შეგიძლიათ სპორტის სასახლეში, ვერის ბაღში, საგაზეთო ჯიხურებსა და „სარბიელის" რედაქციაში.



# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

| ბოლო ორი მატჩის შედეგი: h - შინ, | a - სტუმრად | 1 | X | 2 | I წრე | 1993-1994 შინ/სტ | 1992-1993 შინ/სტ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **იტალია. 27-ე ტური. 15 აპრილი** | | | | | | |
| CREMONESE - | BARI | 1,8 | 2,5 | 3,0 | 0-2 | -/- | -/- |
| a 1-2 Sampdoria | h 2-2 Fiorentina | | | | | | |
| h 0-0 Lazio | a 1-1 Genoa | | | | | | |
| FIORENTINA - | NAPOLI | 1,4 | 2,7 | 4,7 | 5-2 | -/- | 1-1/1-4 |
| a 2-2 Bari | h 0-0 Roma | | | | | | |
| h 4-0 Brescia | h 2-0 Sampdoria | | | | | | |
| FOGGIA - | PARMA | 2,3 | 2,4 | 2,3 | 0-2 | 3-2/0-3 | 1-0/0-4 |
| a 1-2 Cagliari | h 2-3 Milan | | | | | | |
| h 4-1 Padova | a 0-1 Roma | | | | | | |
| GENOA - | CAGLIARI | 1,6 | 2,6 | 3,6 | 0-1 | 1-1/0-0 | 2-3/0-3 |
| a 0-2 Inter | h 2-1 Foggia | | | | | | |
| h 1-1 Bari | a 2-3 Torino | | | | | | |
| INTER - | MILAN | 2,4 | 2,4 | 2,2 | 1-1 | 1-2/1-2 | 1-1/1-1 |
| h 2-0 Genoa | a 3-2 Parma | | | | | | |
| a 1-0 Reggiana | h 0-2 Juventus | | | | | | |
| PADOVA - | LAZIO | 2,5 | 2,5 | 2,0 | 1-5 | -/- | -/- |
| a 3-1 Brescia | h 2-0 Reggiana | | | | | | |
| a 1-4 Foggia | a 0-0 Cremonese | | | | | | |
| REGGIANA - | JUVENTUS | 5,3 | 3,4 | 1,2 | 1-3 | 0-0/0-4 | -/- |
| a 0-2 Lazio | h 1-2 Torino | | | | | | |
| h 0-1 Inter | a 2-0 Milan | | | | | | |
| ROMA - | BRESCIA | 1,1 | 3,2 | 8,0 | 0-0 | -/- | 2-3/2-0 |
| a 0-0 Napoli | h 1-3 Padova | | | | | | |
| h 1-0 Parma | a 0-4 Fiorentina | | | | | | |
| TORINO - | SAMPDORIA | 1,6 | 2,6 | 3,6 | 1-1 | 2-3/0-1 | 2-2/1-0 |
| a 2-1 Juventus | h 2-1 Cremonese | | | | | | |
| h 3-2 Cagliari | a 0-2 Napoli | | | | | | |
| | **ესპანეთი. 29-ე ტური. 15-16 აპრილი** | | | | | | |
| ATLETICO - | REAL | 2,5 | 2,5 | 2,0 | 2-4 | 0-0/0-1 | 1-1/0-1 |
| a 0-2 Betis | h 3-0 Zaragoza | | | | | | |
| h 0-2 Celta | a 1-1 Compostela | | | | | | |
| VALENCIA - | BETIS | 1,6 | 2,6 | 3,6 | 1-1 | -/- | -/- |
| a 0-0 Celta | h 2-0 Atletico | | | | | | |
| h 1-2 Deportivo | a 0-3 Zaragoza | | | | | | |
| ZARAGOZA - | LOGRONES | 1,1 | 3,0 | 10,0 | 0-0 | 1-1/2-2 | 1-1/0-0 |
| a 0-3 Real | h 0-4 Compostela | | | | | | |
| h 3-0 Betis | a 0-2 Espanol | | | | | | |
| TENERIFE - | CELTA | 1,3 | 2,8 | 5,6 | 2-3 | 0-0/0-1 | 1-0/1-0 |
| a 1-4 Deportivo | h 0-0 Valencia | | | | | | |
| h 2-1 Barcelona | a 2-0 Atletico | | | | | | |
| COMPOSTELA - | ALBACETE | 1,8 | 2,5 | 3,0 | 3-1 | -/- | -/- |
| a 4-0 Logrones | h 1-1 Espanol | | | | | | |
| h 1-1 Real | a 1-2 Racing | | | | | | |
| R. SOCIEDAD - | DEPORTIVO | 2,0 | 2,5 | 2,5 | 1-3 | 0-1/1-0 | 0-2/1-5 |
| a 1-1 Barcelona | h 4-1 Tenerife | | | | | | |
| h 3-0 Valladolid | a 2-1 Valencia | | | | | | |
| ESPANOL - | ATHLETIC | 1,6 | 2,6 | 3,6 | 3-1 | -/- | 2-0/0-2 |
| a 1-1 Albacete | h 2-0 Racing | | | | | | |
| h 2-0 Logrones | a 1-1 Sporting | | | | | | |
| OVIEDO - | BARCELONA | 1,8 | 2,5 | 3,0 | 0-1 | 1-3/0-1 | 1-0/0-2 |
| a 1-2 Valladolid | h 1-1 Sociedad | | | | | | |
| h 1-1 Sevilla | a 1-2 Tenerife | | | | | | |
| RACING - | SPORTING | 1,5 | 2,7 | 4,0 | 3-2 | 2-0/2-0 | -/- |
| a 0-2 Athletic | h 3-0 Sevilla | | | | | | |
| h 2-1 Albacete | h 1-1 Athletic | | | | | | |
| SEVILLA - | VALLADOLID | 1,1 | 3,2 | 8,0 | 4-0 | 3-3/2-2 | -/- |
| a 0-3 Sporting | h 2-1 Oviedo | | | | | | |
| h 1-1 Oviedo | a 0-3 Sociedad | | | | | | |
| | **გერმანია. 26-ე ტური. 15-16 აპრილი** | | | | | | |
| 15.04 KOLN - | WERDER | 2,2 | 2,4 | 2,4 | 2-2 | 2-0/1-3 | 0-0/0-2 |
| a 3-1 Dynamo | h 2-0 Munchen 1860 | | | | | | |
| h 3-1 Bayern | a 0-0 Hamburger SV | | | | | | |
| KAISERSLAUTERN - | DYNAMO | 1,1 | 3,2 | 8,0 | 0-1 | 0-0/1-3 | 2-0/3-1 |
| a 1-1 Bayern | h 1-3 Koln | | | | | | |
| h 0-0 Karlsruher SC | a 1-3 Munchen 1860 | | | | | | |
| EINTRACHT - | BAYERN | 2,4 | 2,3 | 2,3 | 3-3 | 2-2/1-2 | 1-1/0-1 |
| a 1-1 Karlsruher SC | h 1-1 Kaiserslautern | | | | | | |
| h 0-3 Schalke 04 | a 1-3 Koln | | | | | | |
| BORUSSIA D - | KARLSRUHER SC | 1,2 | 2,8 | 8,0 | 0-0 | 2-1/3-3 | 3-1/0-3 |
| a 0-0 Schalke 04 | h 1-1 Eintracht | | | | | | |
| h 3-1 B. Uerdingen | a 0-0 Kaiserslautern | | | | | | |
| STUTTGART - | SCHALKE 04 | 1,5 | 2,7 | 4,0 | 1-1 | 3-0/1-0 | 1-0/0-1 |
| a 1-4 B. Uerdingen | h 0-0 Borussia D | | | | | | |
| h 4-2 B. Leverkusen | a 3-0 Eintracht | | | | | | |
| DUISBURG - | BORUSSIA M | 2,5 | 2,5 | 2,0 | 0-1 | 2-0/1-4 | -/- |
| a 0-3 Freiburg | a 1-3 B. Leverkusen | | | | | | |
| h 3-1 Bochum | h 1-2 Freiburg | | | | | | |
| 16.04 MUNCHEN 1860 - | BOCHUM | 1,6 | 2,6 | 3,6 | 2-2 | -/- | -/- |
| a 0-2 Werder | h 0-0 Hamburger SV | | | | | | |
| h 3-1 Dynamo | a 1-3 Duisburg | | | | | | |
| | **ინგლისი. 38-ე ტური. 15-17 აპრილი** | | | | | | |
| ARSENAL - | IPSWICH | 1,1 | 3,2 | 8,0 | 2-0 | 4-0/5-1 | 0-0/2-1 |
| a 1-3 QPR | h 0-1 QPR | | | | | | |
| h 5-1 Norwich | a 0-4 Leeds | | | | | | |
| MANCHESTER C - | LIVERPOOL | 2,2 | 2,4 | 2,4 | 0-2 | 1-1/1-2 | 1-1/1-1 |
| a 1-2 Tottenham | h 0-1 Leeds | | | | | | |
| a 1-2 Crystal Palace | h 3-1 Southampton | | | | | | |
| CHELSEA - | ASTON VILLA | 1,6 | 2,6 | 3,6 | 0-3 | 1-1/0-1 | 0-1/3-1 |
| a 1-1 Wimbledon | a 0-0 Crystal Palace | | | | | | |
| h 1-1 Newcastle | a 1-0 Ipswich | | | | | | |
| NORWICH - | NOTTINGHAM | 2,5 | 2,5 | 2,0 | 0-1 | -/- | 3-1/3-0 |
| a 0-3 Newcastle | h 1-1 West Ham | | | | | | |
| a 0-1 Leicester | a 7-1 Sheffield W | | | | | | |
| COVENTRY - | SHEFFIELD W | 1,8 | 2,5 | 3,0 | 1-5 | 1-1/0-0 | 1-0/2-1 |
| h 0-1 QPR | h 1-0 Leicester | | | | | | |
| a 0-3 Leeds | h 1-7 Nottingham | | | | | | |
| CRYSTAL PALACE - | TOTTENHAM | 3,2 | 2,8 | 1,6 | 0-0 | -/- | 1-3/2-2 |
| h 0-0 Aston Villa | h 2-1 Manchester C | | | | | | |
| h 2-1 Manchester C | a 3-4 Southampton | | | | | | |
| EVERTON - | NEWCASTLE | 1,8 | 2,5 | 3,0 | 0-2 | 0-2/0-1 | -/- |
| h 1-2 Blackburn | h 3-0 Norwich | | | | | | |
| a 3-2 QPR | a 1-1 Chelsea | | | | | | |
| LEICESTER - | MANCHESTER U | 5,3 | 3,4 | 1,2 | 1-1 | -/- | -/- |
| a 0-1 Sheffield W | h 0-0 Leeds | | | | | | |
| h 1-0 Norwich | a 0-2 Liverpool | | | | | | |
| SOUTHAMPTON - | QPR | 1,8 | 2,5 | 3,0 | 2-2 | 0-1/1-2 | 1-2/1-3 |
| a 1-3 Liverpool | a 1-0 Ipswich | | | | | | |
| h 4-3 Tottenham | h 3-1 Arsenal | | | | | | |
| WEST HAM - | WIMBLEDON | 1,6 | 2,6 | 3,6 | 0-1 | 0-2/2-1 | -/- |
| a 1-1 Nottingham | h 1-1 Chelsea | | | | | | |
| a 2-0 Aston Villa | a 4-3 Leicester | | | | | | |
| LEEDS - | BLACKBURN | 2,2 | 2,4 | 2,4 | 1-1 | 3-3/1-2 | 5-2/1-3 |
| a 1-0 Liverpool | a 2-1 Everton | | | | | | |
| h 4-0 Ipswich | h 2-1 Chelsea | | | | | | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | AS BARI | ■ | | 0-0 | 2-0 | 2-2 | 2-1 | 4-1 | | 3-5 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 1-2 | 1-0 | | 0-1 | | 0-2 |
| 2 | AC BRESCIA | 1-2 | ■ | 2-3 | | 2-4 | 1-0 | 1-2 | 0-0 | 0-5 | 0-0 | | 1-3 | | 1-0 | 0-0 | 0-1 | 1-4 | 1-1 |
| 3 | US CAGLIARI | 2-1 | 2-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-1 | 1-0 | | 1-1 | 1-1 | | | 2-0 | | 0-1 | 1-1 | 1-0 | 3-0 |
| 4 | US CREMONESE | | 0-0 | 2-0 | ■ | 0-0 | 1-3 | | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-0 | | 1-1 | | | 0-0 | 3-0 | 1-2 |
| 5 | AC FIORENTINA | 2-0 | 4-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | 3-1 | 2-2 | | 2-2 | | 4-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | | |
| 6 | AC FOGGIA | | 3-1 | 2-0 | 0-1 | | ■ | 2-1 | 1-1 | 1-3 | 0-0 | 1-1 | 4-1 | | 1-0 | 0-1 | | 0-2 | 2-0 |
| 7 | FC GENOA | 1-1 | 1-0 | | 0-1 | 1-1 | | ■ | | 1-1 | 2-1 | 3-3 | 2-1 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 1-2 | | |
| 8 | SAMPDORIA | 1-1 | | 5-0 | 2-1 | | 1-1 | 3-2 | ■ | 0-3 | | 0-0 | 5-0 | 3-1 | 2-1 | 3-0 | 3-1 | 1-1 | 0-1 |
| 9 | AC MILAN | | 1-0 | 1-1 | 3-1 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | ■ | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 2-1 | | 2-1 | | 0-2 |
| 10 | INTER MILANO | 1-2 | 1-0 | | | 3-1 | 3-0 | 2-0 | 2-0 | | ■ | 0-2 | | 1-1 | 1-0 | 0-1 | 0-2 | 2-1 | 0-0 |
| 11 | SSC NAPOLI | 3-0 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 2-5 | | 1-0 | 2-0 | | | ■ | 3-3 | | 1-0 | 0-0 | 3-2 | 1-1 | 0-2 |
| 12 | AC PADOVA | 0-2 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 0-1 | 0-0 | | 1-4 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | 0-3 | | | | 4-2 | 1-2 |
| 13 | AC PARMA | | 4-0 | 2-1 | 2-0 | | 2-0 | | 3-2 | 2-3 | | 2-0 | 1-0 | ■ | 2-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-3 |
| 14 | AC REGGIANA | 0-1 | | 0-0 | 2-0 | 1-1 | | 0-1 | 0-2 | | 0-1 | 1-2 | 3-0 | 2-2 | ■ | 1-4 | 0-0 | 1-0 | |
| 15 | AS ROMA | 2-0 | | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 1-0 | 0-0 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | | 1-1 | |
| 16 | LAZIO ROMA | 1-2 | | | 1-0 | 8-2 | 7-1 | 4-0 | | 4-0 | | 5-1 | 5-1 | 2-2 | 2-0 | 0-3 | ■ | 3-0 | 3-4 |
| 17 | AC TORINO | 2-0 | 2-0 | 3-2 | | 1-0 | 2-0 | 0-0 | | 0-0 | 0-2 | | 2-0 | 0-2 | | 2-2 | 2-0 | ■ | 3-2 |
| 18 | JUVENTUS TORINO | 2-0 | 2-1 | | 1-0 | 3-2 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | | | 3-1 | 3-0 | | 1-2 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 1-1 | 2-2 | 1-2 | 1-3 | 1-2 | | 0-0 | 2-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | | | 3-1 | 1-1 | 2-1 | | | 1-1 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 5-1 | ■ | 0-0 | | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-2 | 4-2 | | | | 0-0 | | 0-0 | | 3-0 | 0-0 |
| 3 | FC BARCELONA | | 3-0 | ■ | 1-0 | 4-0 | 3-1 | 1-1 | 3-0 | 4-3 | | 1-0 | 2-1 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-0 | 0-0 | | |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | 1-2 | 1-3 | | ■ | | 2-0 | 0-2 | 1-0 | | 1-1 | | 2-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-2 | | 2-1 | 1-1 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | | | 1-2 | 0-1 | ■ | | 0-1 | 2-0 | | 1-1 | 1-1 | 2-1 | 3-2 | 0-2 | 1-1 | | | 1-1 | 1-0 | 2-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-2 | | 2-1 | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-1 | 2-3 | | | 1-1 | 3-0 | 1-1 | | | 0-0 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 2-1 | 1-1 | | 0-0 | 1-0 | 2-1 | ■ | | 0-1 | 0-0 | | 3-0 | 3-3 | 3-1 | | 5-1 | 4-1 | 3-1 | 4-0 | 1-2 |
| 8 | CD LOGROÑES | 1-1 | 1-1 | | 0-1 | 0-4 | 1-3 | 0-1 | ■ | | 1-4 | | 0-1 | 0-0 | 0-4 | 0-0 | 0-2 | | 2-2 | 0-0 | |
| 9 | ATLETICO DE MADRID | | | 2-0 | 2-1 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | ■ | | 3-3 | 0-1 | | 2-1 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 2-4 | 6-0 | 0-2 |
| 10 | REAL MADRID CF | 0-0 | 1-0 | 5-0 | 4-0 | 1-1 | 4-0 | | 2-0 | 4-2 | ■ | 2-0 | 3-1 | 3-0 | | | 2-0 | 4-2 | | | 4-0 |
| 11 | REAL OVIEDO | | 3-0 | | 1-1 | 2-2 | | 2-0 | 1-0 | 1-0 | | ■ | 3-1 | 2-1 | 3-0 | 0-0 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 1-0 | |
| 12 | RACING SANTANDER | 2-1 | 0-0 | 5-1 | 0-2 | | | 1-2 | 3-0 | | 3-1 | | ■ | 0-1 | 0-0 | 0-0 | | | 3-2 | 0-0 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 1-0 | 1-0 | 2-1 | | | 3-2 | 1-0 | | 3-1 | 3-2 | 2-1 | | ■ | 1-1 | 3-0 | | 2-2 | | 1-0 | 4-0 |
| 14 | REAL SOCIEDAD | 2-0 | 2-0 | 1-1 | | 1-1 | 2-2 | | | 3-1 | 1-1 | 3-1 | | 1-2 | ■ | | 0-0 | 5-2 | 0-2 | 3-0 | 2-3 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 4-1 | 3-1 | | 0-0 | 1-0 | 5-0 | 0-0 | 1-0 | 2-0 | 0-0 | | 2-0 | 0-1 | 0-0 | ■ | | | 1-1 | 1-2 | |
| 16 | SEVILLA FC | 0-2 | 3-0 | | 0-0 | 3-0 | 5-1 | | 1-0 | | 1-4 | 1-1 | 1-3 | 2-1 | 2-0 | 0-1 | ■ | 1-2 | 1-1 | | |
| 17 | CD TENERIFE | | | 2-1 | 1-0 | 2-0 | | 1-1 | 4-0 | 1-0 | | 1-1 | 3-0 | 2-0 | 3-0 | 1-4 | 0-0 | ■ | 1-2 | 0-0 | |
| 18 | VALENCIA CF | 3-3 | 0-0 | 1-2 | | | 0-0 | 1-2 | | 0-0 | 1-2 | 1-0 | | 3-0 | 4-2 | | 0-1 | 2-1 | ■ | 3-0 | 1-0 |
| 19 | REAL VALLADOLID | 1-1 | 0-4 | 1-3 | | 2-0 | 2-0 | | | 0-1 | 0-5 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 1-1 | | 0-4 | 1-4 | 2-0 | ■ | 1-1 |
| 20 | RC CELTA VIGO | 0-0 | 1-2 | 2-4 | 1-1 | 1-2 | 2-0 | | 0-1 | 1-0 | | 0-0 | 2-1 | 0-0 | | 0-2 | 0-0 | 3-2 | 0-0 | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | VfL BOCHUM | ■ | 1-3 | 0-2 | 2-0 | 1-0 | | 1-3 | 0-0 | 0-2 | 0-1 | | 1-3 | 0-2 | 1-2 | 2-2 | | | 2-2 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 3-0 | ■ | | 1-0 | 5-1 | 2-0 | 5-1 | 1-4 | | | 2-2 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 4-0 | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | | 2-0 | ■ | | 1-0 | 1-1 | 1-1 | | 2-1 | | 2-1 | 0-3 | | 1-0 | 4-0 | 3-2 | 5-0 | 3-1 |
| 4 | 1. FC DYNAMO DRESDEN | 0-2 | 1-1 | 0-1 | ■ | 4-2 | | 1-3 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-3 | | 1-1 | | | 1-2 |
| 5 | MSV DUISBURG | 3-1 | 0-2 | | 1-1 | ■ | 1-0 | 1-2 | 0-5 | | 0-0 | 1-3 | 0-2 | | 0-3 | | 2-2 | 2-0 | 2-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 2-1 | | 4-1 | 2-0 | | ■ | | 2-0 | 1-3 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | | | 0-3 | 2-2 | 0-3 |
| 7 | SC FREIBURG | 1-2 | 1-3 | | 3-1 | 3-0 | 2-0 | ■ | 3-0 | | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-1 | 5-1 | | 3-0 | 2-0 | |
| 8 | HAMBURGER SV | 3-1 | 0-0 | 0-4 | 2-1 | | | | ■ | 0-0 | 3-1 | | 1-2 | 1-2 | 1-1 | 3-0 | 3-0 | 0-2 | 0-0 |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | | 1-1 | 1-0 | | 1-0 | 1-1 | 3-2 | | ■ | 0-0 | | 1-0 | | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-2 | 1-1 |
| 10 | KARLSRUHER SC | | 3-1 | 0-0 | | 4-1 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 3-3 | ■ | 0-0 | | 2-4 | 2-2 | 3-1 | | | 2-1 |
| 11 | 1. FC KÖLN | 2-1 | | 1-6 | 1-2 | | 3-0 | | 1-1 | 0-1 | 3-4 | ■ | | 1-3 | 3-1 | 2-1 | 5-1 | 1-0 | 2-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | 1-3 | 1-2 | 2-2 | | | 4-0 | 2-4 | | 0-1 | 0-0 | 3-1 | ■ | 3-1 | | | 2-2 | 3-1 | 1-1 |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 7-1 | 2-0 | 3-3 | 2-0 | 1-0 | | 1-2 | | 4-0 | 2-2 | | 3-3 | ■ | 2-2 | 2-0 | 0-1 | | 1-0 |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | 3-1 | | | 2-1 | 1-1 | 3-3 | 2-2 | 1-1 | 1-1 | | 2-2 | 2-1 | 3-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-2 | |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | | 1-2 | 1-5 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 4-0 | | | 1-0 | | 1-1 | | 1-3 | ■ | 0-1 | 0-2 | 1-1 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 3-2 | | 0-0 | 4-0 | 0-0 | 0-0 | | 0-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | | 1-1 | | 6-2 | ■ | 1-1 | |
| 17 | VfB STUTTGART | 2-2 | | 0-0 | 4-2 | | 4-1 | | 2-1 | 2-2 | 4-0 | 2-2 | 4-2 | 2-4 | | 1-1 | | ■ | 3-1 |
| 18 | BAYER 05 UERDINGEN | | 1-3 | 0-2 | | 1-1 | 1-1 | 0-2 | 4-1 | 1-3 | | 0-0 | | | 1-1 | 1-1 | 1-1 | 4-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 0-0 | 0-0 | 3-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | 1-3 | 1-1 | | 3-0 | 0-0 | 2-3 | 5-1 | 1-0 | 1-3 | 0-0 | 1-1 | | 0-1 | |
| 2 | ASTON VILLA | | ■ | 0-1 | 3-0 | 0-0 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-0 | 4-4 | | | 1-2 | 0-2 | 1-1 | 0-2 | 2-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 0-2 | 7-1 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | 3-1 | 3-1 | ■ | 2-1 | 4-0 | | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-0 | 3-2 | | 2-4 | | 0-0 | 3-0 | 4-0 | 3-1 | 3-2 | 2-0 | 4-2 | 2-1 |
| 4 | FC CHELSEA | | | 1-2 | ■ | 2-2 | 0-0 | 0-1 | 2-0 | 0-3 | 4-0 | 0-0 | 3-0 | 2-3 | 1-1 | 2-0 | 0-2 | | 1-1 | | 1-1 | 1-2 | 1-1 |
| 5 | COVENTRY CITY | 0-1 | 0-1 | 1-1 | 2-2 | ■ | 1-4 | | 2-0 | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-0 | | 0-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | | 1-3 | 0-4 | 2-0 | 1-1 |
| 6 | CRYSTAL PALACE | 0-3 | 0-0 | 0-1 | 0-1 | 0-2 | ■ | 1-0 | 3-0 | 1-2 | 2-0 | 1-6 | 2-1 | 1-1 | 0-1 | 0-1 | | 0-0 | 2-1 | 0-0 | | | 0-0 |
| 7 | FC EVERTON | 1-1 | 2-2 | 1-2 | | 0-2 | 3-1 | ■ | 4-1 | 3-0 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 1-0 | | 2-1 | 1-2 | 2-2 | 1-4 | | 0-0 | 1-0 | |
| 8 | IPSWICH TOWN | 0-2 | 0-1 | 1-3 | 2-2 | | 0-2 | | ■ | 2-0 | 4-1 | 1-3 | 1-2 | 3-2 | 0-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | 1-2 | 2-1 | 1-3 | | 2-2 |
| 9 | LEEDS UNITED | 1-0 | | | 2-3 | 3-0 | | 1-0 | 4-0 | ■ | 2-1 | 0-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | | 1-0 | 4-0 | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | 3-1 |
| 10 | LEICESTER CITY | 2-1 | 1-1 | 0-0 | | 2-2 | 0-1 | 2-2 | | 1-3 | ■ | 1-2 | 0-1 | | 1-3 | 1-0 | 2-4 | 1-1 | 0-1 | 4-3 | 3-1 | 1-2 | 3-4 |
| 11 | FC LIVERPOOL | 3-0 | 3-2 | | 3-1 | 2-3 | 0-0 | 0-0 | 0-1 | 0-1 | | ■ | 2-0 | 2-0 | 2-0 | 4-0 | 1-0 | 1-1 | 4-1 | 3-1 | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 12 | MANCHESTER CITY | 1-2 | 2-2 | 1-3 | 1-2 | 0-0 | 1-1 | 4-0 | 2-0 | 0-0 | 0-1 | | ■ | 0-3 | | 2-0 | 3-3 | | 3-2 | 3-3 | 5-2 | 3-0 | 2-0 |
| 13 | MANCHESTER UNITED | 3-0 | 1-0 | 1-0 | | 2-0 | 3-0 | 2-0 | 9-0 | 0-0 | 1-1 | 2-0 | 5-0 | ■ | 2-0 | 1-0 | 1-2 | 2-0 | | | 0-0 | 1-0 | 3-0 |
| 14 | NEWCASTLE UNITED | 1-0 | 3-1 | 1-1 | 4-2 | 4-0 | | 2-0 | 1-1 | | 3-1 | 1-1 | 0-0 | 1-1 | ■ | 3-0 | 2-1 | 2-1 | 2-1 | 5-1 | | 2-0 | 2-1 |
| 15 | NORWICH CITY | 0-0 | | 2-1 | 3-0 | 2-2 | 0-0 | 0-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | | 1-1 | 0-2 | 2-1 | ■ | | 4-2 | 0-0 | 2-2 | 0-2 | | 1-2 |
| 16 | NOTTINGHAM FOREST | 2-2 | 1-2 | 0-2 | 0-1 | | 1-0 | 2-1 | 4-1 | 3-0 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | 1-0 | ■ | 3-2 | 4-1 | 3-0 | 2-2 | 1-1 | 3-1 |
| 17 | QUEEN'S PARK RANGERS | 3-1 | 2-0 | 0-1 | 1-0 | 2-2 | | 2-3 | 1-2 | 3-2 | 2-0 | 2-1 | 1-2 | 2-3 | 3-0 | 2-0 | 1-1 | ■ | 3-2 | 2-2 | | 2-1 | 0-1 |
| 18 | SHEFFIELD WEDNESDAY | 3-1 | 1-2 | 0-1 | 1-1 | 5-1 | 1-0 | | | 1-1 | 1-0 | 1-2 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 1-7 | 0-2 | ■ | 1-1 | 3-4 | 1-0 | 0-1 |
| 19 | FC SOUTHAMPTON | 1-0 | 2-1 | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 2-0 | 3-1 | 1-3 | | 0-2 | 2-2 | 2-2 | 3-1 | 1-1 | 1-1 | | | ■ | 4-3 | 1-1 | 2-3 |
| 20 | TOTTENHAM HOTSPUR | 1-0 | 3-4 | 3-1 | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 3-0 | | 1-0 | 0-0 | 2-1 | 0-1 | 4-2 | | 1-4 | 1-1 | 3-1 | 1-2 | ■ | 3-1 | 1-2 |
| 21 | WEST HAM UNITED | 0-2 | 1-0 | | 1-2 | 0-1 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 0-0 | 1-0 | | 3-0 | | 1-3 | 2-2 | 3-1 | | 0-2 | 2-0 | 1-2 | ■ | |
| 22 | FC WIMBLEDON | 1-3 | 4-3 | 0-3 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 2-1 | | 2-0 | 0-1 | 3-2 | 1-0 | | 1-3 | 0-1 | | 1-2 | | ■ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვაათასიანები

# ყარაყორუმის გიგანტი

ჩოგორიზე, იგივე კ-2-ზე პირველამსვლელ იტალიელთა ექსპედიციის წევრებმა, ვიდრე საბოლოოდ დატოვებდნენ მყინვარ გოდუინ ოსტინს, სადაც ისინი მთელი ორი თვე ცხოვრობდნენ და საიდანაც ამ ხნის განმავლობაში „დიდ მთაზე" მაქონდათ იერიშები, კიდევ ერთხელ მოინახულეს თავიანთი მეგობრის მარიო პუხოლცის საფლავი.

36 წლის მარიო ჩოგორიზე გამარჯვებამდე ერთი თვით ადრე გარდაიცვალა. იგი თანაგუნდელებმა მწვერვალის ძირში წინა წელს აქვე დაღუპული ამერიკელი მთამსვლელის არტურ გილკეის მემორიალურ დაფასთან მიაბარეს მიწას. მეგობრებმა მარიოს რომ უკანასკნელი პატივი მიაგეს, მის საფლავზე დადეს ფილაც, რომელზეც ეწერა: „აქ განისვენებს მარიო პუხოლცი, მეგზური მონბლანის რაიონიდან". იქვე, მარცხნივ მიუწერიათ მარიოს დაბადების დრო და ადგილი: „1918 წლის იანვარი. კურმაიერი", მარჯვნივ კი მისი გარდაცვალების დრო და ადგილი — „1954 წლის 21 ივლისი, კ-2 აბრუცის ქედი".

მაგრამ მარიო არც პირველი იყო და არც უკანასკნელი, რომელიც ჩოგორის შეეწირა. იტალიელებმა იმ დღეს გოდუინ ოსტინის მყინვართან კიდევ ორი ფილა დადეს. ერთს ასეთი წარწერა ჰქონდა: „კ-2-ზე ყველა დაღუპულთა მოსაგონებლად" და შემდეგ აქ დაღუპულთა ვინაობა...

მეორე ფილა იტალიელებმა თავიანთ წინამორბედებს მიუძღვნეს. მასზე ეწერა: „მოსაგონებლად ლუიჯი ამადეო დი სავოი აბრუცის ჰერცოგისა და ეიმონ დი სავოი სპოლეტოს ჰერცოგისა, რომლებიც ამ მთებში იტალიელთა ორ ექპედიციას მეთაურობდნენ. ყარაყორუმში, კ-2-ზე იტალიელთა 1954 წლის ექსპედიციის წევრთაგან, რომლებმაც აბრუცის ქედზე ნახევარი საუკუნის წინათ მათ მიერ ნაჩვენები გზის გავლით მოიპოვეს გამარჯვება. 31 ივლისი 1954 წელი".

***

ჩოგორი, დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალი (8611 მ.), პაკისტანის ყარაყორუმზეა ალმართული, ამ მთებში კი უმაღლესი პიკი გახლავთ. ჩოგორის აქვს კიდევ ორი თავი, რომლებიც ასევე 8000 მ-ს ალემატებიან. ერთის სიმაღლე, რომელსაც წინა მწვერვალს უწოდებენ, 8230 მეტრია, მეორე კი, სამხრეთის წინა მწვერვალი, მას 98 მეტრით ჩამორჩება. მაგრამ სამივე თავი შორიდანაც და ახლოდანაც ერთ მთლიან მწვერვალად მოჩანს. ამ სამიდან ორი წინა მწვერვალი დაულაშქრავია.

ჩოგორის რაიონის მთავარი ქედი და თვითონ მასივი, იმის გამო, რომ სქელი თოვლითა და ყინულითაა დაფარული, გეოლოგიური თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბოლომდე არ გამოკვლეულა. ეს მასივი ფრიად გრანდიოზულად გამოიყურება არა მხოლოდ თავისი ვეება მასშტაბებისა და სიმაღლის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მის მასივზე ჩოგორის დარი მწვერვალები არ არის და მხოლოდ „შვიდიათასიანი" და „ექვსიათასიანი" პიკებია ალმართული. თუმცა, ჩოგორის სიახლოვეს სამხრეთ აღმოსავლეთით ცად აზიდულა ყარაყორუმის დანარჩენი სამი „რვაათასიანიც": ჰიდენის (8068 მ), ბროუდის (8047 მ) და გაშერბრუმის (8035 მ) პიკები.

ყარაყორუმის გამყინვარება უზარმაზარია — 17,8 ათასი კვადრატული კილომეტრი. მყინვართა უმრავლესობა სამხრეთ ფერდობებზეა თავმოყრილი. მათგან ყველაზე დიდია ბალტორო, რომელიც იქაური „რვაათასიანების" სამხრეთით ჩამოდის. მისი სიგრძე 66 კილომეტრი, სიგანე 2-დან 4 კილომეტრამდე, საერთო ფართობი კი 1227 კვადრატული კილომეტრია.



ჩოგორი (მარცხნივ) და ბროუდ-პიკი



## ჩოგორი — 8611

ბალტოროს მყინვარი მეშვიდე ბანაკის სიმაღლიდან

ბალტოროს საერთო ჯამში ცოტათი ჩამორჩება სიაჩენის მყინვარი, თუმცა სიგრძით ყველა დანარჩენზე აღმატებულია და 72 კილომეტრამდე გრძელდება.

უცნაური ის არის, რომ გეოგრაფებს დღემდე ვერ გადაუწყვეტიათ, ყარაყორუმი ჰიმალაის გაგრძელებაა თუ დამოუკიდებელი მთათა სისტემა.

ასეა თუ ისე, ყარაყორუმს, მიუხდავად თავისი მკაცრი ბუნებრივი პირობებისა და დიდი სიმაღლისა, ძველთაგანვე იცნობდნენ. პირველი მთამსვლელი, ვინც ყარაყორუმს და საერთოდ „რვაათასიანებს" ყურადღება მიაპყრო, გახლდათ ინგლისელი სწავლული, მოგზაური და ალპინისტი უილიამ მარტინ კონვეი. მან 1892 წელს მოაწყო ექსპედიცია ყარაყორუმის მთებში და ბალტოროს მყინვარზეც ავიდა, საიდანაც იქაური „რვაათასიანები", მათკენ მიმავალი გზები დაზვერა და მარშრუტებიც შეიგულა, თუმცა მათი დალაშქვრის ცდა ალბათ გულშიც არ გაუვლია. სამაგიეროდ, მწვერვალ ბალტორო-კანგრის (7312 მ) შეუტია და 6890 მეტრამდე ააღწია, რაც იმ დროისთვის პატარა მიღწევა არ ყოფილა.

***

სანამ ჩოგორის დალაშქვრის ისტორიას გავიხსენებდეთ, რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ მწვერვალის სახელწოდებებზე, რომლებიც მას საკმაოდ აქვს. დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალს ადგილობრივი მკვიდრნი ჩოგორის უწოდებენ. ბალტის ენაზე „ჩოგო" დიდს ნიშნავს, ხოლო „რი" - მთას. ლადაკში მას დაპსანგს უწოდებენ. ვარაუდობენ, რომ ეს სახელი მომდინარეობს პლატო დაპსანგიდან, საიდანაც მშვენივრად მოსჩანს ყარაყორუმის უდიდესი მთები, მათ შორის ჩოგორიც.

იტალიელ ტოპოგრაფთა მიერ შედგენილ ერთ-ერთ პირველ რუკაზე ეს მწვერვალი აღნიშნულია კ-2-ის სახელწოდებით, რაც ნიშნავს ყარაყორუმის მწვერვალი №2, მაგრამ რატომ №2 და არა №1, ეს დღემდე ვერავის აუხსნია.

ბევრ რუკაზე ყარაყორუმის უმაღლესი მწვერვალი მოხსენიებულია „გოდუინ ოსტინის" სახელით. პოლკოვნიკი გოდუინ ოსტინი იყო ინგლისის პირველი ტოპოგრაფიული ექსპედიციის მეთაური, რომელიც 1861 წელს ამ რაიონს იკვლევდა.

***

ჩოგორიზე პირველასვლას უძღვოდა ბევრი ექსპედიცია, რომლებიც საინტერესო იყო მრავალი გამოკვლევებით, იმედებით, გაწბილებითა და ტრაგედიებითაც. მათზე რამდენადმე დაწვრილებითი საუბარი ძალზე შორს წაგვიყვანს. ამიტომ ძირითადად წმინდა წყლის ალპინისტურ ქრონოლოგიაზე შევჩერდებით, თუმცა, ეს ექსპედიციები სამეცნიერო მიზნებსაც ისახავდა.

მაშ ასე:

1902 წელი. მრავალრიცხოვანი და კვალიფიციური ხუთკაციანი საერთაშორისო ექსპედიცია ინგლისელ ოსკარ ეკენშტეინის მეთაურობით მწვერვალს ჩრდილოაღმოსავლეთის მხრიდან უტევს და ორი ცდის მერე 6600 მეტრამდე აღწევს.

1909 წელი. იტალიელთა გამოცდილი თერთმეტკაციანი ექსპედიცია ლუიჯი ამადეო დი სავოი აბრუცის ჰერცოგი შვეიცარიელ გამყოლებთან და ბალტელ მებარგულებთან ერთად. მთამსვლელები სამხრეაღმოსავლეთის ქედით მხოლოდ 6000 მეტრამდე ადიან. ამან ჰერცოგი ძალიან დაანაღვლიანა და გულგატეხილმა ესლა თქვა, თუ ვინმე შეძლებს ჩოგორიზე ასვლას, ეს ბედნიერება მთამსვლელს კი არა, მხოლოდ მფრინავს ეღირსებაო.

და მაინც, ექსპედიციის შედეგები ფრიად დამაიმედებლად ითვლება, მითუმეტეს, რომ იტალიელებმა ჩოგორისკენ მიმავალ რეალურ გზას მიაგნეს.

ის, რომ აბრუცის ჰერცოგის ექსპედიცია მიზანს ვერ აღწევს, გასაკვირი არც იყო. საოცარი ის იქნებოდა, იმდროინდელი ჩასაცმელ-დასახურითა და საჭურვლით „რვაათასიანზე"რომ ასულიყვნენ. ეგეც არ იყოს, მაშინდელი გამოცდილებით „შვიდიათასიან"და „ექვსიათასიანებზე" ასვლაც ვაჟკაცობად და გმირობად ითვლება.

1929 წელი. აბრუცის ჰერცოგის ძმისშვილი ეიმონ დე სპოლეტო ჰერცოგი ფონ სპოლეტო ბიძის დაწყებული საქმის გასრულებას ხუთი მთამსვლელით ლამობს. ალპინისტი, გეოგრაფი და გეოლოგი არდიტო დეზიო ერთ მთამსვლელთან ერთად სამხრეთ დასავლეთის ქედით კონვოის „უნაგირამდე", 6600 მეტრამდე ადის.

1938 წელი. ინგლისელთა ხუთკაციანი ექსპედიცია ჩარლზ ჰაუსტონის მეთაურობითა და ექვსი მოსიმაღლე შერპის თანხლებით, რომელთაც პაზანგ კიკული სირდარობს, რეკორდულ 7925 მეტრამდე აღწევს. გზად მათ ხვდებათ 45-მეტრიანი „ბუხარი", რომლის გვერდები მთლად გლუვია, უკანა მხარე კი ყინულით ალესილ-ამოვსებული. დაუძლეველის დაძლევას ჰაუსი თითქმის 4 საათს ანდომებს, რის გამოც იმ ადგილს „ჰაუსის ბუხარს" არქმევენ, მაგრამ მთამსვლელებს საკვებიცა და საჭურველიც თითქმის ელევათ, ამიტომ გზას ველარ აგრძელებენ.

როცა ამ ექსპედიციას აანალიზებენ, ალპინისტური საზოგადოება რწმუნდება, რომ ამერიკელებს მწვერვალზე ასვლის კარგი შესაძლებლობები ჰქონდათ, მაგრამ მთელი სამი კვირა ამაოდ დაკარგეს ჩოგორისაკენ სხვა გზების ძებნაში მაშინ, როცა ცნობილი იყო მისკენ მიმავალი აბრუცის რეალური მარშრუტი.

1939 წელი. ამრიკელთა მეორე ხუთკაციანი ექსპედიცია. მას მეთაურობს გაამერიკელებული გერმანელი, ფრიად გამოცდილი ფრიც ვისნერი, რომელიც 1932 წელს სხვა „რვაათასიანის" — ნანგა პარბატის ექსპედიციაში მონაწილეობდა. ექსპედიციას მხარში ედგა რვა შერპი, მათ შორის ჩვენთვის უკვე ნაცნობი პაზანგ კიკული.

ეს ექსპედიცია, ყოველგვარი ფიქრისა და ყოყმანის გარეშე აბრუცის ქედიდან უტევს მწვერვალს. ცუდი ამინდების მიუხედავად 35 დღეში მეექვსე ბანაკს აწყობენ. საქმეს თითქოს კარგი პირი უჩანს, მაგრამ მოულოდნელად ჩაპელ კრენმერი გულმა შეაწუხა, ჯორჯ შელდონმა ფეხები მოიყინა, ჯეკ დიურანსმა კი, რომელიც ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხილამურე იყო, სიმაღლე ვეღარ აიტანა. ამიტომ ფრიც ვისნერი და დედლი ვოლფი შერპებთან ერთად მიდიან მწვერვალისკენ. 7530 მეტრზე მეშვიდე; 7711 მეტრზე მერვე ბანაკსაც აწყობენ. მწვერვალამდე 900 მეტრი რჩება, მაგრამ კიდევ ერთი საშუალედო ბანაკის დადგმაა საჭირო, მაგრამ უამინდობა მთამსვლელებს ორი დღით ერთ ადგილზე აჩერებს, მერე კი გზას აგრძელებენ. სიარულს ართულებს უამინდობისას მოსული თოვლი, რომელსაც გამკვრივება ვერ მოუსწრია. მთამსვლელები წელამდე, ზოგჯერ მხრებამდე თოვლში ეფლობიან. მათ სიარულს უფრო თოვლში ცურვა ეთქმის. ვისნერი ტექნიკურად იოლად დასაძლევი 22 მეტრის „გაცურვას" მთელი ორი საათი ანდომებს, მასზე მძიმეწონოსანი ვოლფი კი იმ მონაკვეთზე პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე ყელამდე თოვლში ეფლობა, ამიტომ იგი მერვე ბანაკში ბრუნდება, იერიშს კი ვისნერი და პაზანგ დავა ლამა აგრძელებენ.

ამერიკელი და შერპი შეუჩერებლად, მაგრამ ძალზე ნელა მიიწევენ ზემოთ. მთელი დღის სიარული შემდეგ მხოლოდ 200 მეტრით ადიან. იქ, რეკორდულ 7940 მეტრ სიმაღლეზე ბოლო ბანაკს დგამენ და მწვერვალამდე 700 მეტრიღა რჩებათ. უთენია გაადამწყვეტ იერიშზე გადადიან. საღამოს შვიდისნახევრისთვის 8382 მეტრს აღწევენ. მწვერვალამდე კიდევ 250 მეტრია, მაგრამ პაზანგი წრიაპებს კარგავს, თანაც ბინდი იპარება და მისი დაჟინებული თხოვნით მეცხრე ბანაკში ბრუნდებიან. მერე უპროდუქტობის გამო მერვეშიც ჩადიან. იქ მათ ავადმყოფი და მთლად დასუსტებული ვოლფი ხვდებათ. მასთან მთელი ხუთი დღის განმავლობაში აღარავინ ასულა და ისიც უსაკვებოდაა. ამიტომ სამივენი ეშვებიან მეშვიდე ბანაკისკენ, სადაც საკმაო პროდუქტი ეგულებათ, მაგრამ იქ ჩასულთ ბანაკი ევაკუირებული ხვდებათ. ერთი საძილე და ერთიც გასაბერი ლეიბის ამარა დარჩენილი სამი მთამსვლელი ჯოჯოხეთურ ღამეს ათენებს. დილით ვისნერს კიდევ აქვს იმედი, რომ იერიშს გაიმეორებს. ამიტომ ვოლფს იქ ტოვებს, თვითონ კი პაზანგთან ერთად საკვებისთვის მეექვსე ბანაკში ჩადის, მაგრამ ისიც ევაკუირებული ხვდება. იგივე მეორდება ყოველი მომდევნო ბანაკის ადგილზე, საბაზოში კი, სადაც 24 ივლისს ორივენი უკვე ხელ-ფეხ მოყინულები ლასლასით ჩადიან, ეუბნებიან... თქვენ ყველანი დაღუპულები გვეგონეთ და ბანაკებიც ამად ავყარეთო.

ამის მერე მწვერვალზე ფიქრი აღარ შეიძლება და აღარც ფიქრობენ. ახლა მთავარი ავადმყოფი ვოლფის ჩამოყვანაა.

მოთხილამურე დიურანსი, რომლის უგუნურობითაც ის საშუალედო ბანაკები მოშალეს, შერპებთან ერთად ვოლფის ჩამოსაყვანად მიემართება, მაგრამ სიმაღლეს კვლავ ვერ იტანს და მხოლოდ მეოთხე ნაბანაკარამდე აღწევს. ამიტომ უკან ბრუნდება, ზემოთ კი პაზანგ კიკული, პაზანგ კიტარი და პინსტო მიემართებიან. 29 ივლისს ისინი არიან მეშვიდე ბანაკში, სადაც ვოლფს სიარული კი არა, საძილე ტომრიდან ამოძრომაც აღარ შეუძლია. შერპები მას ათბუნებენ, ანაყრებენ, მაგრამ ვოლფი დაშვებაზე უარს ამბობს. ხვალ ამომაკითხეთ, იქნებ მანამდე ცოტა სული მოვითქვა და მოვჯობინდეო. შერპებიც, რაკი საძილე ტომრები არა აქვთ, მეექვსე ბანაკში თუ ნაბანაკარში ჩადიან, სადაც საშინელი ქარბუქის გამო ყოვნდებიან. 1 აგვისტოს კი ვოლფისკენ მიემართებიან.

იმ დღის მერე აღარც შერპები და აღარც ვოლფი აღარავის უნახავს.

დედლეი ვოლფი, პაზანგ კიკული, პაზანგ კიტარი და პინცუ უთავბოლო ხელმძღვანელობის მსხვერპლნი გახდნენ.

1952 წელი. ამერიკელთა შვიდკაციანი ექსპედიცია, ისევ ჩარლზ ჰაუსტონის მეთაურობითა და მთელი შემადგენლობით 7770 მეტრამდე ადის. მერე რამდენიმედღიანი ქარბუქი გზის გაგრძელების საშუალება არ აძლევს.

ქარბუქში ჯორჯ ბელსა და მოლენარს ფეხები მოეყინათ, არტურ გილკეის კი ფეხების ჩირქოვანი თრომბოფლებიტი დაემართა. გილკეის, ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მთამსვლელს, სიარული საერთოდ აღარ შეეძლო. ამიტომ იგი საძილე ტომარაში ჩააწვინეს და თოკებით მეშვიდე ბანაკთან კულუარში ჩაცურება დაიწყეს. მოულოდნელად ოთხი მთამსვლელი მოწყდა და მათ კიდევ ერთი თან გადაიყოლეს. ყველანი გაიხლართნენ იმ თოკში, რომლითაც მათ პიტერ შენინგი იცავდა. საბედნიეროდ შენინგმა ხუთი კაცის ვარდნის შეჩერება შეძლო, მაგრამ ჰაუსტონმა ქვებზე დაცემისას გრძნობა დაკარგა, მოლენარს ნეკნები ჩაემტვრა, გილკეის ჩამოსაყვანად კი მეშვიდე ბანაკამდე თოკის მოაჯირის გაბმა გახდა საჭირო. მეგობრებმა გილკეი თოვლიან ფერდობზე ჩარჭობილ ორ წერაყინზე გამოაბეს, დანარჩენი დაშავებულები კი ბანკში ჩაიყვანეს, როცა გილკეის ჩამოსაყვანად დაბრუნდნენ, იგი იქ აღარ დახვდათ. მთამსვლელებმა იმ ადგილზე ზვავის კვალი ნახეს. ნათელი გახდა, რომ არტ გილკეი ზვავმა ათასმეტრიან უფსკრულში გადაჩეხა.

1954 წელი. იტალიელთა თორმეტკაციანი ექსპედიცია არდიტო დეზიოს მეთაურობით.

მწვერვალი! ჩოგორიზე პირველამსვლელები ხდებიან დინო ლაჩედელი და აჩილე კომპანიონი, მაგრამ იტალიელთა გამარჯვება ტკივილიანი სიხარულია, რადგან მანამდე მათ დაკარგეს მარიო პუხოლცი, რომელიც არტურ გილკეის მემორიალურ დაფასთან მიაბარეს მიწას.

თუ როგორ მოხდა ყოველივე, ამას ჩვენი რუბრიკის მომდევნო გამოშვებაში გიამბობთ.

ავთანდილ გურასაშვილი



მთამსვლელთა ქარავანი ჩოგორის გზაზე



# ანდრე XII

„დიდი სლემის" ზედიზედ ორი ტურნირის მოგებისა და კიდევ რამდენიმე წარმატების შედეგად ანდრე აგასიმ დიდი ხნის ნატვრა აისრულა — ორშაბათიდან სათავეში მოექცა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა კლასიფიკაციას. ამერიკელი ჩოგბურთელის აღზევებაში, ცხადია, დიდი როლი ითამაშა ბოლო ორი წლის უცილობელ ლიდერ პიტ სამპრასთან მისმა ორმა მოგებამ. სამპრასი 1993 წლის 13 სექტემბრიდან ზედიზედ 81 კვირა ედგა კლასიფიკაციას სათავეში. სადღეისოდ ანდრეს 4403 ქულა აქვს, პიტს — 187-ით ნაკლები.

აგასი, ვინც ორ კვირაში 25 წლისა შესრულდება, მე-12 ჩოგბურთელია, სათავეში რომ სდგომია უძლიერესთა სიას 1973 წლის შემდეგ, როცა ქულების კომპიუტერით თვლა შემოიღეს.

ლიდერი ქალებშიც შეიცვალა. შტეფი გრაფმა და არანტა სანჩესმა მორიგი „როქი" გააკეთეს და კლასიფიკაციას სათავეში კვლავ გერმანელი მოექცა.

**ოთხშაბათს აგასიმ იაპონიის ღია პირველობაზე დაამარცხა თ. პოუ (აშშ) 6:3, 6:2, სამპრასმა კი ესპანეთისაზე წააგო მსოფლიოს 84-ე ჩოგან ო. გროსთან (გერმანია) 6:1, 2:6, 3:6. პიტმა ბოლო ხელში 8 მატჩ-პოინტი იხსნა.**

კროსი

# რაც მარტოკაცმა შეიძლო

აქამდე არ დავსწრებივარ, მაგრამ მაინც მგონია, რომ „ერთგულების თასად" მონათლული, ისე კი „ლექსოს კროსად" ცნობილი ტრადიციული შეჯიბრი უმაგალითო მოვლენაა ქართულ სპორტში.

ამას ის მაფიქრებინებს, რომ სპორტკავშირ — კომიტეტ — სამინისტრო — დეპარტამენტის ჩინოვნიკების მიერ ორგანიზებულ მასობრივ ღონისძიებებ-გარბენებისგან, ანაც მავანისა და მავანის მოსაგონრად მოწყობილი მინი-ფეხბურთის ტურნირებისგან განსხვავებით „ლექსოს კროსი" ყოველთვის ურთულესი და ალალი, მაგრამ დემოკრატიული შეჯიბრება ყოფილა.

ამ კვირადღეს ანუ ზეგ კროსი ზედიზედ მე-16-ედ გაიმართება, რაც მრავლისმეტყველია. ორგანიზატორს 1989 წელიც კი არ გაუცდენია. ამ ხნის მანძილზე შეჯიბრს სულ ოთხჯერ ჰყოლია სპონსორი. წელს ერთობ საგულისხმო რამ მოხდა: კროსს პატრონობს პიროვნება, ვინაც ვინაობის საჯაროდ გამოცხადება არ ისურვა, საპრიზო ფონდად კი 100 დოლარი გაიღო.

კროსის გამართვა ლექსო ბურნაძის იდეაა. ეს კაცი გეოლოგია, სპეციალობითაც უმუშავია, მაგრამ სპორტზეა გადამკვდარი. სტუდენტობისას უნივერსიტეტის გუნდში რაგბსა თამაშობდა, ბოლო 25 წლის მანძილზე კი გრძელ მანძილებზე რბენა ასულდგმულებს. მას შემდეგ, რაც ქართველმა მობურთალეებმა და მოთხილამურეებმა, აგრეთვე კარგი დქდ-მამის შვილების ქველმა მშობლებმა იაზრეს, რომ სპორტსმენებს თავ-თავიანთ სახეობაში წარმატებისათვის მძლეოსნობაში ვარჯიშიც მართებთ, ლექსოს და მის კოლეგებს მოცლა აღარა აქვთ — უამრავ გუნდსა და ჯგუფს ავარჯიშებენ. ამჟამად ბურნაძე „დინამოს" კალათბურთელებსა და „ყოჩ" მორაგბეებს წვრთნის და კიდეც ეამაყება, რომ ლევან ქარაბაკისა და ირაკლი მაისურაძის დაწინაურებაში მისი წვლილიცაა.

ლექსომ პირველი კროსი 1980 წლის 2 მარტს მოაწყო დილმის ტყე-პარკში, ორი წლის შემდეგ კი ვაკის პარკში გადმოიტანა. მაშინაც და ახლაც ყველაფერს თავად და თავისი ხარჯით აკეთებს: მონიშნავს დისტანციას; შეადგენს, დაბეჭდვინებს და დაგზავნის დებულებებსა და მოსაწვევებს; დაამზადებინებს მონაწილეთა ნომრებს, გამარჯვებულთა სარგო სიგელებს; შეიძენს ჯილდოებს. ოჯახსაც მოიშველიებს ხოლმე. აი, წელსაც დებულება მეუღლემ დაუბეჭდა, თბილისში აკრედიტებულ საელჩოებსა და ნაირ-ნაირ მისიებს კი ლექსოს აწ უკვე წამოსწრებულმა, დამოუკიდებელმა ქალებმა დაურიგეს მოსაწვევები. სხვათა შორის, ესენიც დარბიან და მღვიმეთმცოდნეობას ეტანებიან.

უცხოელ დიპლომატთა და ქველმოქმედ-მისიონერთა გარდა მოწვევა რამდენიმე ქალაქში, სპორტსკოლასა და მძლეოსნობის კლუბშიც გაიგზავნა. ლექსო დაახლოებით 80 მონაწილეს ელის. ხალხმრავლობის რეკორდი 1988 წელსაა დამყარებული — მაშინ 134 მორბენალი შეიკრიბა.

კროსში მონაწილეობა შეუზღუდავია. მორბენალს მხოლოდ ის მოეთხოვება, რომ ჯანმრთელი იყვეს. ბოლო წლებში ამის დამადასტურებელი ცნობა საჭირო აღარაა — კაცს სიტყვაზე ენდობიან, რომ ისეთი არაფერი სჭირს, სირბილმა რომ აწყინოს. მონაწილეობისათვის არც რაგინდარა ფულადი შესატანია დაწესებული, რაც თურმე სხვაგან ასე არ ყოფილა.

კროსის წლევანდელი დისტანცია ტრადიციულია — 5240 მეტრი, რაც 1310-მეტრიანი წრის ოთხგზის შემორბენით გამოდის. თუ არ ვცდები, მძლეოსნები ვაკის პარკის შემოგარენში გამავალ ამ ტრასას „ლექსოს მცირე წრეს" უწოდებენ, რაკიღა „ლექსოს დიდი წრეც" არსებობს.

სტარტი, რომელიც 16 აპრილის 11 საათისთვისაა დათქმული, ერთობლივია, მაგრამ შეჯიბრება რვა სხვადასხვა კატეგორიაში ეწყობა — ცალ-ცალკე გამოვლინდებიან ქალი და ვაჟი გამარჯვებულები უმცროსკლასელთა, მოსწავლეთა, ზრდასრულთა და ვეტერანთა შორის. მონაწილეთა აღრიცხვა და სასტარტო ნომრების დარიგება ათის ნახევარზე დაიწყება ვაკის სტადიონის გასახდელებთან (ტაბლოს უკან).

„ლექსოს კროსი" უკეთეს დროებასაც მოსწრებია. წინათ მასში უცხოელ სლავებსაც კი უმონაწილევიათ. ფრიადი შეჯიბრი გამართულა 1987 წელს, რასაც ყველა დროის საუკეთესო შედეგთა ნუსხაც მოწმობს, თვით სტრიჟაკოვს კი სულ ერთხელ ურბენია და მაშინაც შეკრებიდან საგანგებოდ დათხოვნია სსრკ ნაკრებს.

შეჯიბრება რკინიგზელ სპორტსმენთა მთავარი ექიმის, „მერაბ სერგეევიჩად" ცნობილი მერაბ თავდიშვილის ხსოვნას ეძღვნება. მას ვაკის სტადიონის დირექცია და სირბილის მოყვარულთა კლუბი „კუ" მფარველობენ. კროსის სულისკვეთება ნათლად ჩანს გურამიშვილის სიტყვებში, ლექსოს სიგელებზე დევიზად რომ მიუბეჭდია:

„ყრმავ, გონება უგუნური, აგონიერეო, თავს ნუ გაზდი ულონოდა, ალონიერეო!"

ზაზა ფხაკაძე

**გამარჯვებულთა ნუსხა**

| | | კაცები | ქალები |
|---|---|---|---|
| I | 80 | ნადირაძე | სერიკოვა |
| II | 81 | გათიკოევი | ნარიმანაშვილი |
| III | 82 | ციგულევი | სერიკოვა |
| IV | 83 | გედევანიშვილი | ბერსენევა |
| V | 84 | ციგულევი | ბერსენევა |
| VI | 85 | ნადირაძე | ბელოგუროვა |
| VII | 86 | ნადირაძე | ჭალიაშვილი |
| VIII | 87 | ლიტვინენკო * | * მოყაროვა |
| IX | 88 | ნადირაძე | შაპოვალოვა |
| X | 89 | სტრიჟაკოვი | ნანიშვილი |
| XI | 90 | ნადირაძე | ბურნაძე |
| XII | 91 | ნაუმოვი | ქობალაძე |
| XIII | 92 | ხოხლოვი | ბურნაძე |
| XIV | 93 | ხარაზიშვილი | ბურნაძე |
| XV | 94 | მამიკონიანი | გელაშვილი |

**ყველა დროის საუკეთესო ვაკისპარკულ შედეგთა ექვსეულები**

| | | |
|---|---|---|
| კაცები | | |
| ლიტვინენკო * | 15.42 | 87 |
| ნადირაძე | 15.51 | 87 |
| ბენიძე | 15.53 | 87 |
| ნაუმოვი | 16.06 | 91 |
| ციგულევი | 16.07 | 85 |
| სტრიჟაკოვი | 16.07 | 89 |
| ქალები | | |
| მოყაროვა * | 17.41 | 87 |
| შაპოვალოვა | 18.51 | 88 |
| ჭალიაშვილი | 19.20 | 86 |
| კაპანაძე | 19.56 | 88 |
| მირზოევა | 19.57 | 88 |
| ბელოგუროვა | 20.01 | 86 |

უცხოელებს * ვარსკვლავი უზით

ლიგა

1895 წლის 29 აგვისტო მანამდე ერთიანი რაგბის გახლეჩისა და ლიგის რაგბის დაბადების დღეა. მაშინ იორკშირის ქალაქ ჰადერსფილდში ჩრდილოეთი ინგლისის 21-მა მუშურმა კლუბმა საკუთარი გაერთიანების შექმნა გამოაცხადა, რითაც სამარადისოდ გაემიჯნა ჩვეულებრივ რაგბსა და მის გამგებელ რაგბის კავშირს.

გავიდა ერთი საუკუნე და ცამეტკაციან რაგბში მორიგი ეპოქალური მოვლენები მოხდა. წინა კვირის ამბების შემდეგ ლიგის რაგბის მოწყობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით რადიკალურად შეიცვლება.

# მერდოქისეული გადატრიალება

ერთი ამბავი ატეხა და სასამართლოში ჩივილიც დაიწყო ავსტრალიური ლიგის რაგბის უმთავრესი შეჯიბრების — „ვინფილდის თასის" ტელეტრანსლირების უფლების ერთპიროვნულმა მფლობელმა „მეცხრე არხმა", ვისაც ქვეყნის უმდიდრესი ადამიანი — კერი პაკერი უძღვება. ამ ტელეკომპანიას ბობოლა კლუბებთან ხუთწლიანი კონტრაქტი ჰქონია გაფორმებული და წელს შეჯიბრების ინტერნაციონალიზაციაც დაუწყია — ახალი ზელანდიაც ჩაუბამს საქმეში, მაგრამ ახალ კონკურენტს „ზი", რომელიც ბრისბენის (!) კლუბის ფილიალია. კიდევ ექვსი დანარჩენი კლუბების ადლვებით შეიქმნება და მანჩესტერში, ბირმინგემში, კარდიფსა და სხვა სარაგბო ცენტრებში დაფუძნდება. გარდა ამისა, გადაწყდა, რომ ლიგის რაგბი საზაფხულო სპორტად იქცეს: სეზონი სამხრეთი ნახევარსფეროსეულ ყაიდაზე, ანუ მერდოქისეული განრიგით მარტში დაიწყება და უწყვეტად გაგრძელდება ოქტომბრამდე, რაც ამ ცოტა ხნის წინ წარმოუდგენელი იყო.

ერთობ საინტერესო უნდა ტყოს, თუ ლთა თავკაც მორის ლინდზის. „სახელმოხვეჭილი კლუბები რად უნდა გაუჩინარდნენ, მათ ნაცვლად კი ლიგისთვის უცხო „ჩეშირი" ანაც „კამბრია" რად უნდა შეაკოწიწონ ვიღაც გადამთიელის ახირების გამოო. ანაც, ფეხბურთის ასოციაციის თასის ანალოგ „ჩელენჯ კაპს" ვინღა გაითამაშებს, თუკი ბობოლა „ვიგანს" მისთვის აღარ ეცლებაო". იზარალებენ სეზონური მუშებიც — ის მოთამაშეები, ბრიტანულ ზამთარს ბრიტანეთში რომ ატარებდნენ, ზაფხულს — ავსტრალიაში, რითაც მთელი წელი დასაქმებულნი იყვნენ. ამიერიდან ნოემბრიდან მარტამდე მათ ასპარეზი ესპობათ და უქმად უნდა ისხდნენ.

გადატრიალების თაოსანი მედიის ავსტრალიელი მაგნატი, „ნიუზ ლიმითედ გრუპის" მეპატრონე რუპერტ მერდოქია. მას პროფესიული მსოფლიო ლიგის მოსაწყობად 300 მილიონი გირვანქა გადაუდია. პროექტი, რომლის პირველი ეტაპის ხორცშესხმაც საგაისოდაა დაგეგმილი, მოიცავს ავსტრალაზიას, ევროპას, სამხრეთ აფრიკასა და ჩრდილო ამერიკას. ისიც სათქმელია, რომ ამ ბოლო ორ რეგიონში ლიგის რაგბი ახალი ხილია, პირველ ორში კი აქამდეც დიდი ბიზნესი იყო.

მერდოქის გეგმით, 1996 წლის მარტიდან პარალელურად უნდა ამოქმედდეს ორი ე.წ. სუპერ-ლიგა — ავსტრალაზიისა და ევროპის. პირველში ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის გუნდები ითამაშებენ, მეორეში — ბრიტანეთისა და საფრანგეთის. სეზონის ბოლოს ამ ლიგების ოთხ-ოთხი მოწინავე მსოფლიო ლიგის პროგრამით პლეი-ოფს გამართავს.

უეჭველია, რომ სუპერ-ლიგების შექმნით ერთობ დაიმცრობა ავსტრალიის, ზელანდიის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ლიგელთა საშინაო შეჯიბრებები: ისინი მეორე პლანზე გადაინაცვლებენ და მერდოქისათვის საზარბაზნე ხორცის გამოსაზრდელ სანაშენედ გადაიქცევიან — დაახლოებით ისე, რუსული და ევროპული ჰოკეი ჩრდილოეთამერიკული ჰოკეის ლიგის (ნჰლ), ანაც ამერიკული სტუდენტური კალათბურთი — ეროვნული ასოციაციის (ნბა) მასაზრდოებელი წყაროები რომ არიან. ისიც აღსანიშნავია, რომ თუ ნჰლ და ნბა ერთ კონტინენტზე ფუნქციონირებენ, მერდოქის წამოწყება ერთბაშად ორ, ერთმანეთისგან დაშორებულ რეგიონს მოიცავს, რაც თაოსნის განზრახვის სერიოზულობასა და გაქანებას მოწმობს.

რა თქმა უნდა, მერდოქის წამოწყებას ყველგან ხელგაშლილი არ შეხვედრიან. უკვე საგრძნობლად შეუვიწროებია: მერდოქის ემისრებს ასი ცნობილი მოთამაშე გადაუბირებიათ. მათი ნახევარი ორი გრანდის — „კანბერისა" და „ბრისბენის" წევრია, მაგრამ მეამბოხე „ვარსკვლავა ლიგის" მიერ შეპირებულ ფულს სხვა ჭკუაზე დაუყენებია. აქვე შევნიშნოთ, რომ მერდოქი თანამგზავრულ „ვარსკვლავა" („სტარ") ტელეარხსაცა ფლობს და მისით აპირებს თავისი ლიგის თამაშების მსოფლიოსათვის ჩვენებას. იგივე არხი გადმოსცემს ჩვეულებრივი რაგბის წლევანდელ მსოფლიო თასს მთელი აზიისათვის, მათ შორის — საქართველოსთვისაც.

ავსტრალიის გარეთ მერდოქის წამოწყება ყველგან აიტაცეს. ზელანდია, სადაც ლიგა რაგბს აქამდე ბევრით ჩამოუვარდებოდა, ყაბულსაა. ფრანგული ლიგა „სამოყვარულო" რაგბს კიდევ უფრო უარეს დღეში ჰყავდა. ამიტომაა, რომ მერდოქისგან მისაღები ფულით „მამლები" ორ კლუბს მიავლენენ ევროპულ შეჯიბრებაზე. ერთი ტულუზში დაბანაკდება, მეორე — პარიზში. არადა, რაგბის ამ ცენტრებში ლიგის თამაშისა აქამდე არაფერი გაეგებოდათ. საინტერესო კია, მერდოქისეული ინტერვენციისა და ინვესტიციის შემდეგ რას იზამს საფრანგეთის რაგბის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, „პატარა ბონაპარტად" ცნობილი ჟაკ ფურუ, ვინაც შარშან ნოემბერში თავად წამოიწყო ევროპული პროფესიული ლიგის შექმნა, რომლის თამაშის წესებიც ლიგის რაგბისას დაეფუძნებოდა.

სასწაული მოხდა ბრიტანეთში. 8 აპრილს ქალაქ ვიგანში, რომელსაც ქვეყნის უძლიერესი კლუბი ჰყავს, შეიკრიბა ორივე ჯგუფის 32-ვე პროფესიული კლუბი და გადაწყვიტა, 12 კლუბი მიავლინოს მერდოქის განკარგულებაში. ექვსი მათგანი არსებულია: „ვიგანი", „ლიდსი", „სენთჰელენსი", „ჰალიფაქსი", „ბრედფორდი" და მეორეჯგუფელი „ლონდონ ბრონკოუ-



როგორ შეხვდებიან სეზონის განრიგის შეცვლასა და დიდი ტრადიციების პატრონი მუშური კლუბების თვითლიკვიდაციას გულშემატკივრები, რომლებსაც ერთობ ეამაყებოდათ წმინდა ჩრდილოეთინგლისურ, ოჯახურ ბურთაობაში მონაწილეობა. წამოტივტივდება მოედნების პრობლემაც, ვინაიდან ზოგ სტადიონზე ზაფხულობით კრიკეტი იმართება. თუმცაკი, კრიტიკოსები საზაფხულო ლიგის ღირსებებსაც აღნიშნავენ: დარში თამაში მაყურებელსა და სპონსორს გაგვიმრავლებსო, მერდოქის ფული კი პროფესიონალიზმის დახვეწას წაადგებაო.

ერთი რამ ამთავითვე ცხადია: თუ მერდოქმა თავისი გაიტანა, ლიგის რაგბის წლევანდელი საიუბილეო მსოფლიო თასი, ამ შემოდგომით ბრიტანეთში რომ გათამაშდება, ეროვნულ ნაკრებთა ბოლო სერიოზული შეჯიბრება იქნება, შემდეგ კი მას ისევე დაჩრდილავს მსოფლიო ლიგა, როგორც ჰოკეის მსოფლიო პირველობას — ნჰლ-ის „სტენლის თასი".

ერთობ შეშინდნენ ავსტრალიისა და ზელანდიის რაგბის მამებიც. იქაურ რაგბს „ვინფილდის თასი" მანამდეც ართმევდა ვარსკვლავებს, „ვარსკვლავა ლიგა" კი ალბათ მეტად გაძარცვავს. მედიაში უკვე გამოჩენილა ცნობა, რომ წლევანდელი მსოფლიო თასის შემდეგ, მაის — ივნისში სამხრეთ აფრიკაში რომ გაიმართება, ზელანდიის ნაკრებ „ოლ ბლექსის" ერთბაშად ექვსი წევრი გადავა მერდოქის პროფესიულ ლიგაში. ავსტრალიური რაგბისთვის შეუცვლელი 50 მოთამაშის შესანარჩუნებლად ამ ქვეყნის რაგბის კავშირი 2,5 მილიონი გირვანქის გაღებას აპირებს: ამ „მოყვარულ" მორაგბეებს კავშირი ისეთ კონტრაქტებს გაუფორმებს, რომ თითოეულმა წელიწადში მინიმუმ 150 ათასი გირვანქა სარფი ნახოს. ამით უდაოდ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგმება რაგბის გაპროფესიონალებისაკენ — სხვაფრივ, ლიგის შემოტევის მოგერიება ვერ ხერხდება.

ყაფლან ჯანდიერი,
უცხო თამაშობათა ექსპერტი

**PS** როგორც მოსალოდნელი იყო, მერდოქის დაუფიქრებლად აყოლამ აღაშფოთა ლიგის რაგბის ბრიტანელი ქომაგები. საქმეში პარლამენტარებიც კი ჩაერივნენ და შეადგინეს კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს, თუ ასე ნაჩქარევად, წინადადების მიღებიდან სულ რაღაც სამიოდ დღეში, რა მანქანებით დაყაბულდნენ საუკუნოვანი სისტემის მოშლას. „მოეთათბირეთ მოთამაშეებსა და გულშემატკივრებსო", — ეკითხებიან ბრიტანეთის ლიგე-

## აქეთური, იქითური

მექსიკის უარის შემდეგ მძლეოსანთა 1997 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის კიდევ ორი მსურველი გამოჩნდა: ცალკე იტალია, ცალკე — კალიფორნია. აშშ-ის ეს შტატი შეჯიბრების გამართვას სან-ფრანცისკოს „სტენფორდის" სტადიონზე ფიქრობს, რომელზეც შარშან ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის თამაშები ჩატარდა. მანამდე მძლეოსანთა პირველობის თავისთან გადაბარების სურვილი გამოთქვეს ესპანეთმა, საბერძნეთმა, ფინეთმა და ინდოეთმა. სულ ბოლო მომენტში ჩემპიონატის მასპინძლობა ხორვატიის ქალაქმა სპლიტმაც ისურვა.

*

დღეს არაბთა საამირო შარჯაში უმსოფლიოჩემპიონოდ — უპაკისტანოდ გაიმართება აზიის მეხუთე კრიკეტის პირველობის ფინალი. საქმე იქითკენ მიდიოდა, რომ ფინალში, მოსისხლეები, ინდოეთი და პაკისტანი შეიყრებოდნენ, მაგრამ სამშაბათს შრი-ლანკამ მოულოდნელად მოუგო პაკისტანს, და ამ სამმა გუნდმა ქულები თანაბრად დააგროვა (სამივემ სძლია მეოთხე მონაწილე ბანგლადეშს), დამატებითი მაჩვენებლებით ფინალს მიღმა კი მსოფლიო ჩემპიონები დარჩნენ.

*

ავსტრალიის ჟოკეი-კლუბმა სიდნეელ მხედრებს — ჯიმ კასიდისა და კევინ მოზესს შესაბამისად სამი და ერთი წლით აუკრძალა დოღებში მონაწილეობა. მიზეზი ყალთაბანდობაა. საქმეს პოლიციაც იძიებს, განგაშის ზარი კი გაზეთმა „სიდნი მორნინგ ჰერალდმა" დაარისხა.

*

სქვოშის პაკისტანელ მსოფლიო ჩემპიონ ჯანშირ ხანს დისკვალიფიკაცია ემუქრება. მას უკვე დაუქვითეს ბრიტანეთის სუპერლიგის ერთ მატჩში მონაწილეობისათვის სარგო ჰონორარი — 1500 გირვანქა. ჯანშირი, რომელიც ბრისტოლის კლუბში თამაშობს, სამ ხელში დაამარცხა მსოფლიოს მეხუთე ჩოგანმა, ლონდონელმა პიტერ ნიკოლმა, ჩემპიონმა კი უსაქციელობით გამოიჩინა თავი.

*

ფორმულა-1-ის შარშანდელი ჩემპიონი, გერმანელი მიხაელ შუმახერი ყვ[illegible] შემოსწყრა, სპორტულ აფერის[illegible]რად მაბრალებთო, და როგორც [illegible]ბიან, გაგანია სეზონში ამერიკაში „[illegible]კარში" გადასვლას ფიქრობს. სამაგიეროდ, იქიდან დაბრუნებული ნაიჯელ მენსელის შესაფერისი კოკპიტის შექმნა დაუჩქარებია „მაკლარენს", რისი წყალობითაც „ბიგ ნაიჯმა" შეიძლება იასპარეზოს სან-მარინოს „გრან-პრიზე", 30 აპრილს იმოლაზე რომ გაიმართება.

*

ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ გაამართლა კანადელი ქალი სილკე ლაუმანი, ვისაც არგენტინაში გამართულ პანამერიკულ თამაშებზე დოპინგ-ტესტი ჩაუფლავდა, რისთვისაც კანადელთა მთელ ოთხეულს ჩამოართვეს ოქროს მედლები. მოკვლევის შედეგად ყველაფერი გუნდის ექიმს დაბრალდა.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29